ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი საქართველო

1992 წ. ივნისი

ფასი 3მან. 90კაპ. (56) VI № 1 (55) 20 ივნისი 1992 წელი

როგორც გალიაა სავსე ფრინველებით, ასევე მათი სახლებია სავსე სიცრუით. ასე გალაღდნენ ისინი და გამდიდრდნენ.

გასუქდნენ, გადაიპოხნენ, ბოროტებაშიც კი დაწინაურდნენ; სასამართლოში საქმეს არ არჩევენ, ობლის საქმეს, რომ ეშველოს რაიმე, უპოვართა სამართალს არ განიკითხავენ.

როგორ არ მოვთხოვო პასუხი ამათ გამო? ამბობს უფალი, როგორ არ მიაგოს ასეთ ხალხს სამაგიერო ჩემმა სულმა?

საშინელი და შემაძრწუნებელი ამბავი ხდება ქვეყანაში.

ქადაგნი სიცრუეს ქადაგებენ, მღვდლები ბატონობენ მათი მხარდაჭერით. ჩემს ერს კი მოსწონს ეს. მაგრამ რას იზამთ საბოლოოდ? (იერ. თ.5-6,27-31)

მშვილდივით მოუზიდავთ ენები, სიცრუე და არა სიმართლე ბატონობს ქვეყანაზე, ბოროტებიდან ბოროტებისკენ მიდიან და მე არ მცნობენ, ამბობს უფალი.

უფრთხილდით ერთმანეთს, ძმასაც ნუ ენდობით, რადგან ფეხს უდებენ ერთმანეთს ძმები და ცილს სწამებენ ერთმანეთს მეგობრები.

ერთმანეთს დასცინიან! სიმართლეს არ ლაპარაკობენ; ენას ტყუილის თქმა ასწავლეს, დაიქანცნენ თვალთმაქცობით.

სიცრუეში გიდგას ბინა; სიცრუე უშლის მათ ჩემს შეცნობას, ამბობს უფალი. (იერ. თ.8-9,2-5)

ზერელედ მკურნალობენ ჩემი ერის ჭრილობებს, ამბობენ: მშვიდობაა, მშვიდობა! თუმცა არ არის მშვიდობა. (იერ. თ. 6,14)

ყური მივუგდე და ვუსმინე, მაგრამ მართალს არ ლაპარაკობენ, არავინ ინანიებს თავის ავკაცობას, ეს რა ჩავიდინეო. ყველა თავის სარბიელზე გარბის, ბრძოლაში შევარდნილი ცხენივით. (იერ.თ. 8, 6,10)

როგორ ამბობთ: ბრძენები ვართ, რადგან უფლის რჯულიაო ჩვენთან? კეთილი. აჰა, სიცრუედ უქცევია იგი მწიგნობართა ცრუ კალამს!

თავი შეირცხვინეს ბრძენკაცებმა, დაიბნენ და გაიხლართნენ, აჰა, უარყვეს უფლის სიტყვები და რაღა სიბრძნე აქვთ? (იერ. თ.8 , 8-9)

აახილე თვალი და შეხედე ჩრდილოეთიდან მომავალთ. სად არის სამწყსო, შენ რომ ჩაგაბარეს, შენი მშვენიერი ფარა?

რას იტყვი, როცა მოგთხოვენ პასუხს? შენ თავად ასწავლე მათ, როგორ ებატონათ შენზე, განა კრუნჩხვები არ გაგტანჯავს მშობიარე ქალივით? (იერ.თ.13, 20-21)

თუ შეიცვლის ზანგი თავის კანს და ვეფხვი თავის აჭრელებულ ბეწვს?

თქვენც, ბოროტს დაჩვეულნი, თუ შეძლებდით სიკეთის ქმნას? (იერ. თ.13,23)

ჭკუაზე მოგიყვანს შენი დანაშაული და შენი განდგომილება გამხილებს შენ. იფიქრე და იცოდე, რა მძიმე და მწარე უფლის, შენი ღვთის, მიტოვება. (იერ. თ.2, 19)

† მშვიდობიან მიტინგებზე დაღუპულ მამულიშვილთა არასრული სია

1. არსენიძე კახა - 21 წლის. დახვრიტეს 3 იანვრის მიტინგზე დიდუბეში.
2. ავეტისიანი არქანიკი - მოკლეს გლდანში კომენდანტის საათის დროს.
3. ბერიაშვილი ბერდია - მწერალი, მოკლეს საკუთარ სახლში. დაასაფლავეს პირველ თებერვალს.
4. გაბროშვილი გოგი - სამი შვილის მამა, დაცხრილეს 6 იანვარს ავტობუსში მეტეხის ხიდთან.
5. გაგუა ჟუჟა - სამტრედიის ქ. 4-ა. ბ. 64. სადგურზე მოშიმშილეების დარბევის დროს გარდაცვლილი.
6. დოლიძე გურამ - 55 წლის. ყიფშიძის ქ. დახვრიტეს 3 იანვარს "დიდუბის" მეტროსთან.
7. დარაშვილი ალიკო - დახვრიტეს 2 თებერვალს.
8. დიდებაშვილი ზურაბ - 17 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს.
9. ელიავა ავთანდილი - 5 შვილის მამა, სენაკი, ჭავჭავაძის 24, ბინა 16, მოკლეს 13 მარტს მიტინგის დარბევის დროს.
10. ვარაზიშვილი ვარაზი - სექიმის შესახვევი №4, 33 წლის, მოკლეს 23 დეკემბერს მთავრობის სახლთან.
11. თაქთაქიშვილი ლევან - 21 წლის სტუდენტი. დახვრიტეს 3 იანვრის მიტინგზე "დიდუბის" მეტროსთან. ევლოშვილის ქ. 2 10 კორპ. 4. 34-68-98.
12. იმნაძე თინა - ჭავჭავაძის 54. 10 მაისს სცემეს მიტინგზე და გარდაიცვალა.
13. ლიპარტელიანი გერონტი - 25 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
14. მარკოზია არკადი - უზენაესი საბჭოს წევრი. დახვრიტეს 23 დეკემბერს.
15. მჭედლიშვილი ბადურ - 55 წლის, ნუცუბიძის IV მ რ. კორ 15. II სადარბაზო II სართული. დახვრიტეს ქრისტეშობას "დელისის" მეტროსთან.
16. მაისურაძე ლალი - დახვრიტეს წალენჯიხაში, პრეზიდენტის მდივანი.
17. პერტაია ავლინა - დახვრიტეს 22 დეკემბერს მთავრობის სახლის წინ. წმ.ილია მართლის საზოგადოების წევრი.
18. პაპიაშვილი.
19. რეხვიაშვილი გიორგი - 18 წლის, დახვრიტეს 3 იანვრის მიტინგზე "დიდუბის" მეტროსთან. დიღმის მასივი V კვარტალი, I კორპუსი, ბ 35.
20. რამიშვილი არჩილი - თბილისი მუხიანის IV მ.რ, კორ. 36. წმ.ილია მართლის საზოგადოების წევრი.
21. სულხანიშვილი ავთანდილ ვალერიანის ძე - მოკლეს გლდანში, კომენდანტის საათის დროს თავის სახლთან.
22. ტერიშვილი მამუკა - 18 წლის. თბილისი ნორიოს აღმართი 54-ბ,დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
23. ტერაძე ტრისტან ალექსანდრეს ძე - 70 წლის, დახვრიტეს 2 თებერვალს.
24. ტაბატაძე (ბუნკერის კადრიდან) გამოაცხადეს ტელევიზიით, მოკლეს ყოველგვარი გასაჩივრებისა და განაჩენის გარეშე.
25. ტალახაძე იური - 42 წლის. 3 შვილის მამა. პეტრიაშვილი ქ. 43. დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
26. ფოლადიშვილი მიხეილი - 50 წლის, დახვრიტეს 2 თებერვალს მიტინგზე მცოცავი ტყვიით.
27. ქაჯაია თენგიზ - 29 წლის. ჰელსინკის კავშირის წევრი.
28. ქევხიშვილი ციცო - წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი, დახვრიტეს მთავრობის სახლის წინ 22 დეკემბერს. ორსული. კისტაურის მე-2 შესახვევი 5.
29. ხატიაშვილი გიზო - 29 წლის. გრიბოედოვის ქ. 13. დახვრიტეს 3 იანვარს "დიდუბის" მეტროსთან.
30. ხუციშვილი გელა - დახვრიტეს 3 იანვარს "დიდუბის" მეტროსთან. სოფელ თამარაშენის მკვიდრი.
31. ხერკელიძე ტარიელი - 41 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს.
32. ყაველაშვილი ვალიკო - დაცხრილეს ავტობუსში 6 იანვარს მეტეხის ხიდთან. ტოლსტოის ქ №4.
33. ცარციძე რომეო - 28 წლის. რუსთაველის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. სანხერის მკვიდრი.
34. ცერაძე ტრისტანი - 70 წლის. ბექველიანის შესახვევი №10, ტელეფონი 66-17-83, მოკლეს 2 თებერვალს მიტინგზე.
35. ჭანტურიძე იმედი - 17 წლის. თემქის III მ.რ. II კვ. დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
36. ცაავა ხვიჩა - 29 წლის. სენაკი, მარჯანიშვილის 6, 3 მარტს გადაუარა "ბე-ტე-ერ"-მა.
37. ჩაკაბერია ა. - სენაკი, "ბე-ტე-ერ"-მა გადაუარა საკუთარ მანქანაში მჯდომს.
38. ოდიშარია კუხო - სენაკი. ჭავჭავაძის 111, ბინა 25, 3 აპრილს გადაუარა "ბე-ტე-ერ"-მა მიტინგზე ცხენის წყლის პირას.
39. ხელაშვილი დათო - ვარკეთილის 3, მოკლეს 26 დეკემბერს მთავრობის სახლთან.
40. ფიცხელაური ბესიკ ჯიმშერის-ძე - ლვოვის ქ. №13.
41. ლომთაძე ეთერ - 6 იანვარს ავტობუსში დაცხრილეს მეტეხის ხიდთან, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალო.
42. გოცირიძე გიორგი - მხატვარი, წამებით მოკლეს (დაახრჩვეს მავთულებით ხელზე მიბმული).
43. ტაბიძე თამაზ - ვარკეთილის მე-2 მ.რ, მე-2 კორპუსი, მე-4 სადარბაზო.
44. ლეინაშვილი ნუგზარი - კომინტერნის 59.
45. ჯავახიშვილი ზურაბ - 15 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს.
46. უცნობი ქალი - მოკლული 3 იანვარს, დმანისის რაიონის სოფელ ჯავახიდან.



მიმართვა გვარდიისადმი

მოგმართავთ თქვენ, რომელნიც დღეს ემორჩილებით თვითმარქვია "მთავრობას". ვიცი, რომ ეს ყოველივე შედეგია თქვენი პოლიტიკური მოუმწიფებლობისა. არ მინდა დავიჯერო, რომ თქვენ შეგნებულად დგიდეთ წილი ერის ღალატში, ვინაიდან მრავალი თქვენგანის უწინ უჩვენებია მაგალითები ერისათვის თავდადებისა და დღესაც უჩვენებს:

თუ მართალია ის, რომ თქვენ არ გაგისვრიათ ხელი მოძმეთა სისხლში, როგორც ამას სწამებენ სხვადასხვა კრიმინალური ბანდები, მით უფრო მაქვს იმედი, რომ თქვენში გაიღვიძებს მხედრული სინდისი და თქვენ საბოლოოდ დადგებით კანონიერი ხელისუფლების მხარეზე.

ჩემთან საუბარში ზოგიერთი თქვენგანი მსაყვედურობდა მოსკოვის პუტჩთან ლოიალურ დამოკიდებულებას, რაც შედეგი იყო იმ აგიტაციისა, რომელსაც ეწეოდნენ თქვენს შორის მოსკოვისა და შევარდნაძის აგენტები. ისინი გპირდებოდნენ თქვენ "იანაევის დაკითხვის ოქმის" ჩვენებას, რაც დღემდე ვერ გაჩვენეს. ისინი ცრუობდნენ, თითქოს მე გავაუქმე გვარდია, სინამდვილეში კი, გვარდია თავიდანვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილი იყო, რაც გამოწვეული იყო მისი შენიღბვის აუცილებლობით და მის დასაცავად იმპერიული სტრუქტურების მხრივ ხელყოფისაგან. ამაზე მიუთითებდა თვით მისი სახელწოდება "შინაგანი ჯარი - ეროვნული გვარდია". აგვისტოში კი, როცა ეს საფრთხე უფრო მეტად გაძლიერდა, მე გამოვეცი ბრძანებულება, სადაც მხოლოდ გავიმეორე უზენაესი საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ გვარდია იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში. ამგვარი აგიტაციით მრავალ თქვენგანს აუბნიეს თავგზა, მაგრამ დღეს, მგონი ხედებით, თუ ვინ არის მოსკოვის ნამდვილი აგენტი და საქართველოს მტერი. დღეს თქვენ რეალური საფრთხე გემუქრებათ. კვარცხაძემ ფაქტობრივად გამოგაცხადათ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებად, ბანდად, რომელიც მას არ ემორჩილება. იგი ქმნის ახალ "ინტერნაციონალურ" ბრიგადას ავღანელებისაგან, რომელიც იქნება მისი და რუსეთის დამსჯელი ჯარი თქვენს წინააღმდეგ, "მხედრიონთან" ერთად. შევარდნაძის დესტრუქციული მოქმედებები სამაჩაბლოში, თქვენი ბლოკადა და იზოლაცია მიზნად ისახავს თქვენს განადგურებას, ან ისევ ღალატში ჩათრევას.

ნუთუ ვერ ხედავთ, თუ როგორ ყიდის უზურპატორთა ხუნტა ყოველ ნაბიჯზე საქართველოს ინტერესებს? ნუთუ ვერ ხედავთ კრემლის ლაქიის, შევარდნაძის მუცელზე ხოხვას იმპერიის წინაშე? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ "გერმანიის გამაერთიანებელი" საქართველოში მოავლინეს, რათა გააერთიანოს "ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი"? 11 ივნისს მოსკოვის ტელევიზიით იგი დაემუქრა ქართველ ხალხს ომით რუსეთის სახელით, მანვე ჩამოგისხათ დესანტი სამაჩაბლოში, მისივე დავალებით გესროდათ "მხედრიონი" ზურგიდან. ნუთუ არ გებადებათ კითხვა: რატომ ვერ გაბედეს ოსების რეფერენდუმის ჩატარება ჩემი მმართველობის პერიოდში? რატომ ვერ გაბედეს ჩემს დროს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შიდა ქართლის მთელს ტერიტორიაზე? ვინ და რატომ გაათავისუფლა ციხიდან ქართველი ხალხის მოსისხლე მტერი ქულუმბეგოვი? ვისი გამგებლობის დროს შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, რომელსაც მოლაპარაკებას ეხვეწება საქართველოს ცრუ მთავრობა და მათი ვაიემისრები კავსაძე, ბათიაშვილი და სხვანი?

საბჭოთა პერიოდში კრემლის ხელმძღვანელობა (შევარდნაძის ჩათვლით) სამაჩაბლოს ომს იყენებდა საქართველოზე დაწოლისათვის, რათა ხელი მოგვეწერა საკავშირო ხელშეკრულებაზე. დღეს კი რუსეთის განსრახული აქვს საზღვრების გადასინჯვა, რუსეთის საზღვრის გორთან გადმოტანა, რაშიც იყენებენ შევარდნაძეს. ელცინი უკვე სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან განცალკევებით ახსენებს, რაშიც მას ხელს უწყობს შევარდნაძე, რომელიც თანახმაა ორმხრივ მოლაპარაკებაზე, ე.ი. სამხრეთ ოსეთის ცალკე სახელმწიფოდ აღიარებს, რაც ჩანს მისი ტელეგრამიდან ქულუმბეგოვისადმი, რომელსაც იგი უწოდებს "სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს". შევარდნაძე, რომელიც არ სცნობს ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეულ საქართველოს უზენაეს საბჭოს, სცნობს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას და მის უზენაეს საბჭოს. ზოგიერთს უკვირს შევარდნაძის შესვლა ცხინვალში დაცვის გარეშე, მაგრამ ვერ ითვალისწინებს, რომ იგი თავის კოლეგებთან შევიდა, მოსკოვის სუკ-ის აგენტებთან, რომლებთანაც ალიანსი ჰქონდა იმთავითვე. დღეს შევარდნაძე და გალაზოვი 150 ათასი ოსის "დაბრუნებას" აპირებენ საქართველოში. დღემდე საუბარი იყო 100 ათასზე, მაგრამ მადა ჭამაში მოდის. თუ ამას დაუმატებთ ნახევარ მილიონ თურქმესხს, ათასობით გერმანელს და სხვათა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გველის უახლოეს მომავალში. აღსაშფოთებელია კიტოვანის პოზიციაც. ერთის მხრივ იგი ცდილობს გაემიჯნოს შევარდნაძე -იოსელიან - ქულუმბეგოვს, საქართველოს ამ მოსისხლე მტრების ალიანსს, მეორე მხრივ კი შევარდნაძეს მიჰყვება ყაზბეგში გალაზოვთან "მოსალაპარაკებლად" და გმობს გვარდიის მოქმედებას შიდა ქართლში, რაც მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისაა. დროა კიტოვანმა შეწყვიტოს ორმაგი თამაში და გაარკვიოს თავისი პოზიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეაჩვენებს ქართველი ერი.

დავდგეთ მტკიცედ ჩვენი დამოუკიდებლობისა და ღირსების დასაცავად!

ძირს საქართველოს მოსისხლე მტრები: შევარდნაძე, იოსელიანი, სიგუა, კიტოვანი და ძმანი მათნი!

საქართველო გაიმარჯვებს!
გვფარავდეს ღმერთი!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია

1992 , 12 ივნისი

პასუხის პასუხი

I
ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ.
იქიდამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ.

ჩვენ ველით რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.

ლიბერალობა,
პატრიოტობა
ხალანძლავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.

ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

სარწმუნოება
და სასოება
ფარისეველობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

როს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დაგიჭირეთ თქვენი ანბანი:
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
ვერ შევაჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი.

II
მითამ რად გიკვირთ,
რომ მაღლა ვყვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა!
თქვე ყოვლად ბრმანო!
თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა;

მაშ რაღადა გვგმობთ,
ოდეს ჩვენ ვცდილობთ
ერთმანეთობით მილიონობას?
თქვე ნაცარმქექნო
და გულნამცეცნო,
აქაც ძირს უისრით ღარიბთ ერთობას.

ვართ ულონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,
ჩვენ მიკუნტულნი,
თქვენ გაბღინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

III
იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;

ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მპარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.

ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;

ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამკიცხველი და გამდევნელი.

მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრ კაცი არ დაადარა?!
ზაკვით სავსენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.

IV

მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის -
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დებდეთ, ჩვენა თუ თქვენა?

ეხლა რომ ბღავით,
თქვენ არ, იყავით
ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც - გარეთ თუ შინა.

ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით - არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.

V
თქვენგან გმობილი,
თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილსა არ გაგახარებთ.

გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდად დარჩება.

უგზოდ მქელელნო,
უსწავლელნო, -
ასეთმა ფურმა უნდა დაგეწიხლოს,
რომ ჩვენზედ ბევრსა
თვით იწველდესა, -
ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!

ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, -
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა, -
რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე, წარმოსდინდება.

28 იანვარი,
1872 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის ტრაგედია - შემთხვევითობა თუ ...
(რას უპირებენ გვარდიას?)

საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების ისტორიაში არსებობს ერთი მღელვარე ღამე - ქალაქის ქუჩებში დაქროდნენ მანქანები და მეგაფონებით ამცნობდნენ თბილისელებს, გამსახურდიამ თბილისის ზღვაზე ბიჭები ამოხოცაო... იმათზეც კი, ვისაც არ სჯეროდა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ვისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით ჩამოყალიბდა ქართული გვარდია, სასიკვდილოდ გაიმეტებდა 18-19 წლის ბიჭებს, მძაფრი შთაბეჭდილება დატოვა იმდამინდელმა განცდამ.

რამდენიმე ხანში მართლაც გავხდით გვარდიელების ხოცვის მომსწრე. უცნაურია, უჩვეულოდ მშვიდად მიიღო საზოგადოებამ ეს ფაქტი...

13 ივლისს ქალაქ გორში განლაგებულ "სნგ"-ს სამხედრო ნაწილში, რუსის ჯარისკაცებსა და ქართველ გვარდიელებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რის შედეგადაც დაიღუპა 20 გვარდიელი, 6 "სნგ"-ს ჯარისკაცი, დაჭრილია 45 ქართველი მეომარი, მათ შორის ბესიკ ქუთათელაძე, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია.. შეტაკების შემდეგ გავეშებული სამხედროები ტანკებითა და ბრონირებული მანქანებით გამოვიდნენ სამხედრო ნაწილის ტერიტორიის გარეთ და დაიწყეს ქალაქის რბევა. ცაში გამოჩნდა ათამდე სამხედრო ვერტმფრენი. ქალაქი მოიცვა პანიკამ. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დაჭრილები და დაღუპულები. მხოლოდ საღამოს 10 საათისთვის მოხერხდა გამხეცებული სამხედროების დაშოშმინება თბილისიდან ჩასული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობის უშუალო ჩარევით.

ამირან ნოზაძე (გორის რაიონის პროკურორი) - როგორც ირკვევა, გვარდიელები მოვიდნენ იარაღის წასაღებად. მაგრამ იყო თუ არა ეს ამბავი ვინმესთან ოფიციალურად შეთანხმებული, გამოძიების საქმეა და აუცილებლად დადგინდება. უნდა გაირკვეს, ხომ არ მოხდა ვინმესგან პროვოცირება ამ შეტაკებისა რაიმე სხვა მიზნებისათვის. დღეისათვის ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია. მოსაზრებები და ვერსიები კი მრავლადაა.

გორის საავადმყოფოს ეზოში ხალხი ირეოდა. მათ სახეებს ჯერაც აჩნდა გაოგნებისა და დაძაბულობის კვალი. ავტომატებით და ხელყუმბარებით კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები თავიანთ მკვდარს მიასვენებდნენ. მოშორებით იდგნენ გვარდიის საჩხერის ბატალიონის წევრები, რომლებიც მოკლული გვარდიელის, კაციტაძის ცხედრის გამოსვენებას ელოდებოდნენ.

ერთ-ერთი გვარდიელი - არავითარი თავდასხმა ჩვენის მხრიდან არ ყოფილა. ტყუიან ყველაფერს. პირველივე ტყვია, რომელიც იმ დღეს გავარდა, ბესო ქუთათელაძეს მოხვდა. ბიჭები ისეთ ადგილებში არიან დაჭრილი, რომ ფაქტია, ეს სნაიპერების ნამუშევარია.

კორესპონდენტი - ვინ იცოდა თქვენი იქ მისვლის შესახებ?

გვარდიელი - ყველამაც იცოდა. აქაც და თბილისშიც: კიტოვანი იყო ჩამოსული. ყარყარაშვილსაც შეხვდა და ქუთათელაძესაც.

კორესპონდენტი - რა განწყობაა გვარდიაში შაბათის მერე?

გვარდიელი - აქ ისეთი რამე მოხდა, რომ ხალხმა ხმა უნდა ამოიღოს.. გავიგეთ, თბილისში, შტაბთან საპროტესტო აქცია დაწყებულა. ნეტა მართალია?

კორესპონდენტი - მართალია. ქარტია 91-მა დაიწყო აქცია შტაბის წინ..

გვარდიელი - როგორც გვითხრეს, ცოტანი არიან. ხალხი არ მიდისო.

კორესპონედენტი - ჰო, ცოტანი არიან, ოცამდე კაცი იყო.

გვარდიელი - ეჰ, ალბათ, ხალხი არც მივა, როცა ქუჩაში გამოდიოდნენ, არბევდნენ და ტყვიებით ერეკებოდნენ და ახლა...

გორის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ, ბატონმა ა.ჩოჩიამ გვითხრა, რომ რუსეთის ჯარის მოსალოდნელი თავდასხმის, ან რაიმე გაუთვალისწინებელი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, დაჭრილი გვარდიელები თბილისში გადმოიყვანეს, ასე უფრო უსაფრთხოა მათთვის.

თბილისის სხვადასხვა საავადმყოფოში რამდენიმე დაჭრილ გვარდიელს შევხვდით:

ნუგზარ ტაბატაძე (ხაშურის ბატალიონი) - ჩვენ ვიდექით "ტეკზე", ცხინვალთან. იქიდან წამოგვიყვანეს მოლაპარაკება იყო, რომ რუსებს უნდა გადმოეცათ ტექნიკა. სულ 150-მდე კაცი ვიყავით, დიდი ნაწილი საჩხერის ბატალიონიდან. გვქონდა მხოლოდ ავტომატები. შეგვიშვეს მშვიდად, თავისუფლად, ყოველგვარი გართულების გარეშე. იქვე, ხუთად ხუთი ჯარისკაცი იყო. დღის სამი საათი იქნებოდა, სროლა არ იყო. ერთადერთი - განგაშის ხმა გავიგონეთ, შეიძლება სპეციალურად გააკეთეს. ნაწყობის კარი ღია იყო. არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ; გვითხრეს კიდეც, როგორც ხართ მოლაპარაკებული, ყველაფერი ისე იქნებაო. შეთანხმება იყო ხელმძღვანელობის დონეზე. ქუთათელაძე თავის ხალხთან ერთად ცალკე იდგა. საგანგაშო ნიშნის შემდეგ სროლა დაიწყეს რუსებმა. პირველი ტყვიით ბესო დაიჭრა. ამ პირველ გასროლას მაშხალა მოჰყვა. გამოიყვანეს ტანკები, რომლებიც, ალბათ, წინასწარვე ჰყავდათ მომზადებული..

სადღაც ოთახში მოგვამწყვდიეს. ჯერ ავტომატის ჯერი მოუშვეს ჩვენზე, შემდეგ "ლიმონკები" შემოგვიგდეს. ორი მათგანი ფეხებთან ამიფეთქდა. შემდეგ სარდაფში ჩაგვათრიეს. სადისტურად გვექცეოდნენ.

კორესპონდენტი - ვინმესთან იყო შეთანხმებული თქვენი იქ მისვლა?

ნუგზარ ტაბატაძე - არ ვიცი, ვინ იცოდა და ვინ არა. ვიცი, რომ ეს ოფიციალურად იყო შეთანხმებული. [illegible] ჩვენი უფროსიც, ხაშურის ბატალიონის მეთაური პ.ტელიაფოსი. მოლაპარაკება რომ არ ყოფილიყო, უფროსობა არ გაგვიშვებდა.

გოჩა გარსევანიშვილი (გვარდიელი) - მოვდიოდი ცხინვალიდან. სამ მეგობართან ერთად. ისინიც გვარდიელები არიან. სრულიად შემთხვევით შევესწარით ამ სროლას. ვიცოდით, რომ იარაღის წამოღების ოპერაცია მზადდებოდა, მაგრამ იმას, რაც მოხდა, ნამდვილად არ ველოდით. შეთანხმებული იყო, ბიჭებს ტექნიკა და ტყვია-წამალი უნდა წამოეღოთ. მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობა მოხდა...

კორესპონდენტი - როგორ ფიქრობთ, რა მოხდა, რატომ შეგხვდნენ სროლით?

გარსევანიშვილი - არ ვიცი, რა ვთქვა. ნამდვილი ღალატი იყო. ძალიან გავდა, უხეშად რომ ვთქვათ, ჩაწყობილ საქმეს. უნდოდათ ამოეხოცათ გვარდიელები.

ავთანდილ ფოფხაძე (21-ე ბატალიონი) - გაირკვევა ყველაფერი.

კორესპონდენტი - ვინ უნდა გაარკვიოს?

ავთანდილ ფოფხაძე - ჩვენ თვითონ გავარკვევთ ყველაფერს. მოტყუებით შეგვიყვანეს იქ. საერთოდ, ციხე შიგნიდან ტყდება.

ფრიდონ კოწოწაშვილი - ვერ გავიგე, რა ხდება; შესულები არ ვიყავით, რომ ცეცხლი გაგვიხსნეს. ჩვენ კი, სამაჩაბლოში სროლის უფლებას არ გვაძლევენ. ავტომატები გვაქვს მხოლოდ. სულ ეგ არის ჩვენი შეიარაღება. არადა, სოფლელები სულ ითხოვენ დაზმარებას. ხშირად გვიშვებენ პოზიციაზე მაგრამ ბრძანებას იძლევიან არ გაისროლოთო.

ნუგზარ ტაბატაძე - უპატრონოდ ვართ მიყრილები სამაჩაბლოში. ერთადერთი, ვინც გვეხმარება, ადგილობრივი მოსახლეობაა. ახლა რომ ლაპარაკობენ მშვიდობიან მოლაპარაკებაზე, არაფერი გამოვა, სოფელი ამას არ შეურიგდება. ძალიან გამწარებულია. თუ სოფელი არ შეურიგდა, საკითხი მშვიდობიანად ვერ გადაწყდება. როგორ შეურიგდებიან ოსებს ისინი, ვისაც ძმები, შვილები, ნათესავები მოუკლეს...

თბილისიდან მოქმედების არანაირ საშუალებას არ გვაძლევენ. სამეგრელოში ქართველები გვახოცინეს, სამაჩაბლოში კი, ყოველმხრივ გვიშლიან ხელს. თბილისი ბრძანებებს იძლევა, რომ ჩვენი მხრიდან ცეცხლი არ გაიხსნას. ოსური მხარე კი მუდმივად გვიტევს.

ტ. ქოჩიაშვილი (გვარდიის სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს ოფიცერი) იცით რა, ყველაფერი ისევ ჩვენი ბრალია. ქართველები რომ სახლებს იშენებდნენ, მანქანებს ყიდულობნენ ქეიფობდნენ, მდიდრდებოდნენ და დროს ატარებდნენ, ოსები იარაღს ყიდულობდნენ და ერთმანეტს გვერდში ედგნენ. ახლაც ასეა. არავის არ აინტერესებს იქ რას ვაკეთებთ. საქართველოში ხომ არის სამი მილიონი ქართველი. ვიღაცას ხომ აქვს საღად აზროვნების უნარი. არვინ გვეხმარება არც ფულით, არც იარაღით, ამბის გასაგებადაც არავინ ჩამოდის.

კორესპონდენტი - მაგრამ ასეთი რამ ხომ ხალხის იმედზე არც ერთ ქვეყანაში არ კეთდება. ეს სახელმწიფოს ფუნქციაა. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ ემუქრებოდეს, ჰყავდეს ჯარი, რომელიც დაიცავს საზღვრებს, უზრუნველყოს ჯარის შენახვის ყველა პირობა და სხვა... ჩვენ თვითონ მოვშალეთ ეს სახელმწიფო და ახლა რაღა პრეტენზია გვაქვს?

ქოჩიაშვილი - ? ....

"სნგ"-ს ჯარებზე ამგვარი "თავდასხმები" იარაღის მიღების მიზნით ხორციელდება ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, აქვე, კავკასიაშიც - სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩეჩნეთში, ოსეთში... არსად ისეთი სისასტიკით არ გასწორებიან "თავდამსხმელებს", როგორც საქართველოში. რატომ მოხდა ასე? ეს უბრალო შემთხვევითობაა? იქნებ იმიტომ, რომ დიდი ცოდვა ვიდეთ კისრად.

ხომ არ არის ეს კიდევ ერთი რგოლი იმპერიული გეგმისა, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი საფუძველი უნდა მოეშალოს საქართველოს სახელმწიფოს არსებობას: ჯერ ეროვნული გვარდიის ხელით დაემხო კანონიერი ხელისუფლება და ამით ერთდროულად დისკრედიტირებული აღმოჩნდა გვარდიაც (და საერთოდ, ქართული ჯარის საჭიროების იდეაც) და მომავალში არჩევნების ჩატარების აუცილებლობაც. ამის შემდეგ უკვე არც ისე ძნელია საკუთარ ხალხთან დაპირისპირებული სამხედრო ძალის პოლიტიკური მანევრების მეშვეობით გაფანტვა, ან სულაც ფიზიკური განადგურება. დამაფიქრებელია, რომ დასავლეთ საქართველოს "დალაშქრის" შემდეგ გმირებად შერაცხულ გვარდიელებს სწორედ მაშინ გაემიჯნა საქართველოს ფაქტობრივი მმართველი ე.შევარდნაძე, როდესაც ისინი შიდა ქართლის დასაცავად წარმოებულ სამართლიან ომში ჩაერთვნენ. მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ უთანხმოება აქვს კიტოვანთან და ვერ აკონტროლებს "სამხრეთ - ოსეთში" გვარდიის მოქმედებას, საფუძველს აძლევს რუსეთის მთავრობას საომარი ფორმირებანი განიხილოს, როგორც ბანდიტური ჯგუფები (რაც განაცხადა კიდეც რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ს.სტანკევიჩმა პოპულარულ ტელეგადაცემაში "თოკ-შოუ") და შესაბამისად მოექცეს მათ. არა და სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ: დღევანდელ უზურპატორულ ხელისუფლებაში ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც მეტ-ნაკლებად კანონიერ ხასიათს ატარებს ეს სწორედ გვარდიაა - თუმც კი უკანონობის სამსახურში ჩაყენებული.

მოვლენათა ამგვარი განვითარება გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს მომავალში გვარდიის ნაწილები გამოყვანილი იქნებიან შიდა ქართლიდან და იქაური მოსახლეობის დაცვისათვის, მთელი პასუხისმგებლობა კვლავ "ზვიადისტებს" დაეკისრება მხრებზე.

პუბლიკაცია მოამზადეს ლევან ურუშაძემ და თემურ რეხვიაშვილმა

ვის გვერდით ვიდგეთ დღეს

1992 წლის 10 მაისი. ჭავჭავაძის პროსპექტზე, ჩაის სახლის წინ დაგვაპატიმრეს მე და "საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი (რამდენიმე [illegible] საქართველოს [illegible] იგი [illegible] რედაქტორის თანამდებობიდან) მარიკა ამაშუკელი. [illegible] სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმულმა ახალგაზრდებმა, რომელთა განსაკუთრებულ უფლებამოსილებაზე მხოლოდ ხელკეტი და ცოფმორეული სახე მეტყველებდა. ძმანი მათნი, ასევე სამოქალაქო პირები ამ დროს განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ თავიანთ უფლებააყრილ თანამემამულეებს: დაუნდობლად ურტყამდნენ წიხლებს, ხელკეტებს, მუშტებს, აგინებდნენ უშვერი სიტყვებით და, რაც მთავარია, მთელი მათი ქმედება განმსჭვალული იყო ერთი სულისკვეთებით - დაემცირებინათ ადამიანი. ზიზღითა და სიძულვით უყვიროდნენ: თქვე სოფლელებო, გოიმებოო. როგორც ჩანს, დედაქალაქური ფსიქოლოგიის სინდრომი, რომელიც რაღაც განსაკუთრებულ პრივილეგიებს გულისხმობს, წარმმართველია ამ ხელკეტიანი "რაინდების" ქცევაში. ვინც ჩვენ დაგვაპატიმრა გვსაყვედურობდნენ: თქვენ ქალაქელები ხართ, გეტყობათ და ამ სოფლელებთან როგორ დგახართო. "გენეტიკური თბილისელის" წოდებაზე კონკურსები რომ იმართებოდეს, დარწმუნებული ვარ, ამ ახალგაზრდებიდან უმრავლესობას უკან მოიტოვებდა ჩვენი უბნის მეწაღე გურგენა, მაგრამ ქვეყანაში, სადაც ათასობით ადამიანისთვის ქურდის ბედი გამხდარა სანატრელი და მისაბაძი, რა გასაკვირია, თბილისის სიყვარული მამათელებმა გვასწავლონ. ძველი ჩეკისტებივით ქურთუკებში გამოწყობილი ეს ყმაწვილები მეტწილად ცკ-ს მდივნებსა და სხვადასხვა დონის პარტიულ ფუნქციონერებს წამოყოლილი "რაიონული კადრების" პირმშონი რომ არიან, ამაზე ის თავდადებაც მეტყველებს, როგორითაც იცავენ იმ ადამიანს, რომელმაც ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის აღმავლობის წლებში დაანგრია თბილისის საუკეთესო უბნები და მათ ადგილას სტილიზებული დეკორაციები და მონუმენტური ურჩხულები წამოჭიმა; ვინც სამადლობელი სიტყვით მიმართა თბილისის გამტიალებელთ: ყოჩაღ, იარაღი რომ აიღეთო ხელში. საფიქრალია, მათ გონებასა და სულს ჯერ კიდევ ბავშობაში კვებავდა "თბილისობის" უნიჭო შოუ, ნეგატიურ მოვლენებთან "დრომოჭმულ ტრადიციებთან" ბრძოლის პათოსი.

თუმცა, არც მთლად ასეა საქმე: დამრბევთა შორის არაერთი დედაქალაქელიც შევნიშნე, მათ შორის ჩემი ნაცნობებიც, ისეთი ოჯახების შვილები, რომელთაც წესით უნდა სცხვენოდეთ, რომ მათი ახლობლები ჟანდარმების ფუნქციას ასრულებენ საყვარელი ქალაქის ქუჩებში. თუმცა, ალბათ ახლა არც შერცხვებათ. დრო მიდის და ყველაფერი იცვლება. გასულ აგვისტოს გვარდიის აბობოქრების ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ სამშობლოს დასაცავად შემართულმა არწივებმა იუკადრისეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფნა; ჩვენ მილიციელები ხომ არა ვართო... რამდენიმე თვეში კი, - თუ სამეგრელო არ დაგილაშქრავს, ორიოდე ოჯახი მაინც არ აგიწიოკებია, თუ მიტინგი არ დაგირბევია, საეჭვოა თბილისის ელიტარულ სალონებში მიგიღონ.

მაგრამ "ზოგი ჭირი მარგებელია", მოგეხსენებათ. ნაცნობი რისი ნაცნობია, გაჭირვებაში თუ არ წამოგეშველა. ჰო და, დაჩალიჩდნენ ჩვენი ნაცნობები, ჩვენს განთავისუფლებას ლამობდნენ. მაგრამ ჩვენ არ ვისარგებლეთ ამ შესაძლებლობით და აი რატომ: ავტობუსში, სადაც პატიმრები იყვნენ მოთავსებული, ჩვენთან ერთად იჯდა ასაკოვანი მამაკაცი, რომელსაც ერთ-ერთი ცოფიანი ლაწირაკი ხელკეტს ურტყამდა და მეტად მომგებიან გარიგებას სთავაზობდა: გადი ეხლა გარეთ, ხალხში იყვირე - ძირს ზვიად გამსახურდია! - და გაგიშვებო. იმ ღირსეულმა ადამიანმა პატიმრობა არჩია. ჩვენ ამგვარი არჩევანის წინაშე არავის დაუყენებივართ, გვანთავისუფლებდნენ ყოველგვარი პირობის გარეშე. მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენ - დიახ, ჩვენ ყველანი, სხვა არჩევანის წინაშე დავდექით: ვის გვერდით ვიდგეთ დღეს? მათთან, ვისაც კლავენ, დევნიან, ესვრიან, შეურაცხყოფენ, თუ საიმედოდ მივიმალოთ მათ უკან, ვისაც ავტომატი უჭირავს ხელში და მზადაა მთელი საქართველო გაწყვიტოს, თუ ეს საქართველო მის ინტერესებს დაუდგება წინ. ეს არ არის არჩევანი "ზვიადისტობასა" და "ანტიზვიადისტობას" შორის, არც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (მით უფრო რომ უკვე ნათელია - ჩვენი დასავლეთიც და აღმოსავლეთიც იყო, არის და რჩება ჩრდილოეთელი "ძმა", და მზეც იქიდან ამოდის). ეს არის არჩევანი ზნეობასა და უზნეობას, სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ნუთუ ამას ვერ გრძნობენ ჩვენი ხელკეტიანი ნაცნობები? გრძნობენ, როგორ არა. როდესაც ეკითხები - შენც ამათთან ხარ? დაბნეული ცდილობს გაიღიმოს, თვალებს გარიდებს და გპასუხობს, მე ახლახან მოვედი, არაფერი ვიცი. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ხედავ, როგორ ურტყამს წიხლებს ვიღაც გაუბედურებულ, უბადრუკ ქვეყანაში უბადრუკი ცხოვრებით გაწამებულ ქალს. რა საერთო გაქვს ამათთან? - ჰკითხავ მეორეს. არაფერი! - და იგივე დაბნეული მზერა. თუმცა იქვე ირკვევა, რომ ჩემსავით საშიშ პიროვნებას, "დესტაბილიზატორს", დამნაშავეს ამ ყმაწვილის თხოვნით ყოველგვარი პირობის გარეშე ათავისუფლებდნენ.

ცხადია, ძნელია უარის თქმა ასეთ უფლებებზე - როდესაც შეგიძლია დააპატიმრო ან გაანთავისუფლო ადამიანი, მოკლა ან სიცოცხლე აჩუქო, თანაც არავითარი პასუხისმგებლობა არ გეკისრებოდეს. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, მათთვისაც, ვინც უბრალოდ იარაღია გაქნილი გაიძვერების ხელში. გაიძვერების, რომლებმაც დაგეშეს, მოწამლეს ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, ხელში ბინძური ფულით ნაყიდი იარაღი დააჭერინეს და საკუთარი ხალხის დასახოცად გაუშვეს, კიდევ ერთი თაობა დასვარეს ძმათა სისხლით, საერთო ცოდვით შეკრეს და ახლა როგორც უნდათ, ისე გამოიყენებენ. ამ სამსახურისთვის ზოგმა უკვე მიიღო საფასური: საზღვარგარეთ - ევროპაში გაემგზავრა სასწავლებლად, შემდეგ კი დაგვიბრუნდება (საეჭვოა, იქ , მოიკიდონ ფეხი) . "ერის საუკეთესო ნაწილის" ახალგაზრდა ცვლა. ვისაც ინტელექტუალური ბოდვები არ იტაცებს, მათ ნაღდი ფულით უსწორდებიან, საქმეში გაჰყავთ და სხვა ამგვარ, მაფიისათვის ტიპიურ "სიკეთეს" აზიარებენ. მაგრამ რა არის ეს საცოდავი გასამრჯელო იმ ნაყოფთან შედარებით, რომელსაც ამ ბიჭების ზურგსუკან მიჩუმათებული "ბიძები" მოიმკიან. ხოლო თუ საჭირო გახდა, სიტუაციამ მოითხოვა, თავიანთ სისხლიან ხელებს მათ შეახოცავენ.

ჯერ კიდევ არ არის გვიან გავიაზროთ, რომ საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას.

ჩვენ ან ვიქნებით, ვიარსებებთ, ან არა - ასეა დასმული საკითხი. და მხოლოდ ასე, ვინაიდან დღეს ჩვენში მკვლელებს გმირებს უწოდებენ, ხოლო სამაჩაბლოს მიწისათვის მებრძოლებს განაჩენი "აქეთ" გამოტანილი - "ზვიადისტია" (რასაც თითქმის ყოველდღე გვამცნობს რუსეთის ტელევიზია); ვინაიდან საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი გენოციდი სტაბილიზაციის აუცილებლობით მართლდება, ხოლო საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადება - სამარცხვინო ლაქად მსოფლიოს თვალში. ვინაიდან სამაჩალოში ქართველებს გვიკლავენ, უკანონო ხელისუფლება კი ლაშის ჩაეხუტოს მკვლელობის თავკაცებს, სამაგიეროდ აფხაზებთან ურთიერთობის გამწვავებას არავინ უფრთხის; როგორ ბედავენ და არ უშვებენ "ზვიადისტების" სახოცავად ქართულ გვარდიას (გვარდიის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე განაცხადა ტელეეკრანიდან, თუ აფხაზეთში მიმალული "ზვიადისტების" ლიკვიდაცია არ მოხერხდა, დასავლეთ საქართველოში სტაბილიზაცია არ იქნებაო. გია ყარყარაშვილმა სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, თუ აფხაზეთის ხელმძღვანელობა ნებას დაგვრთავს, მიტინგებს ჩვენ თვითონ დავარბევთო. აი, "სეპარატისტული პოლიტიკით" აღშფოთების ნამდვილი მიზეზი, თორემ იმავე არძინბას ჯესლიან სიტყვას სახალხო დეპუტატთა I ყრილობაზე სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი, რამდენადაც მახსოვს, დიდად არ აუღელვებია!). რა უსუსურია ასლან აბაშიძის პანთურქული ორიენტაციების მხილება, როდესაც "ერის საუკეთესო ნაწილი " 400 ათასი თურქის გადმოსახლების ინიციატივას იჩენს და მათი "ხსნის" კომიტეტებს ქმნის. ხსნა საქართველოსა და ქართველებს სჭირდება და არა თურქებს, ან გარუსებულ გერმანელებს, რომელთა მიღება თვით დედასამშობლოში არ სურთ უბრალო მიზეზით: არავის ესაჭიროება გერმანიაში თუნდაც რამდენიმე ათასი პოტენციური კომუნისტური პარტიის წევრი, ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი. საქართველოს ხსნა სჭირდება, ვინაიდან ქართველთა მშვიდობიანი თანაარსებობის ერთადერთ პირობად აღიარებულია იარაღის ქვეშ სიურცხვესთან, გამყიდველობასთან შეგუება. თუკი გაუპატიურებული შეიყვარებს თავის მოძალადეს, . იგი აღარც შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს -აი, ერთადერთი წამალი, რომელიც "ერის სულიერმა მამებმა" გამოუწერეს მათ მიერვე ავადმყოფად შერაცხულ ერს.

ამიტომ ჩვენ ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე მთავარი არჩევანი უნდა გავაკეთოთ, პასუხი უნდა გავცეთ მთავარ კითხვას: არსებობს თუ არა დღეს ჩვენთვის ერის ინტერესებსა და ღირსებაზე დიდი ფასეულობა?

მე არჩევანი გავაკეთე და ამიტომ: შეურაცხმყოფელად, სამარცხვინოდ მიმაჩნია რაიმე "დახმარების" მიღება მათგან, ვინც საკუთარი ერისგან იზოლირებული, მის საუკეთესო ნაწილად ასაღებს თავს; ვისაც ტკბობას ანიჭებს ხალხის შეურაცხყოფა,დამცირება, თუმცა მის მოწეულ მოსავალსა და საარჩევნო ხმებზე დიდ იმედებს ამყარებს; ვინც მთელი ცხოვრება ჩალიჩსაა მიჩვეული და დღეს, თვითონ სისხლსა და ლაფში ყელამდე ჩაფლული, კვლავ ჩალიჩით, "ბლატებით" ცდილობს ჩვენც წუმპეში ჩაგვითრიოს.

თუ მე არ ვითვლები დამნაშავედ და ჩემს განთავისუფლებას წინ არაფერი ეღობება, მაშინ ჩემთან ერთად უნდა განთავისუფლდეს ყველა პოლიტპატიმარი; ხოლო თუკი საქართველოსთვის ჩვენ დამნაშავენი ვართ, მაშინ მე არ მივცემ ჩემს თავს არავითარ უფლებას რაიმე პრივილეგიით ვისარგებლო.

დღეს, როდესაც მთელი საქართველო სატუსაღოდაა ქცეული, დიდი სხვაობა არაა - ციხეში იჯდები, თუ მის გარეთ იქნები.

წინასწარი პატიმრობის საკანი N7

ანა ჭავჭავაძე

თბილისი, 18 მაისი 1992 წ.

სად არის შენი ძმა აბელი?

განგებისა თუ ჩვენი მეფეების ახირებულობის წყალობით, ჩვენ მართლაც დიდად გამოვიცვალეთ გარემო, მაგრამ მისი რუსეთის სახელმწიფოს მიერ ანექსიის ორასი წლისთავისათვის, საქართველო ისევ იმავე საშიშროების წინაშე დგას, რადგანაც, განა იმას აქვს მნიშვნელობა თუ რა ჯიშის ნადირი გაგბდღვნის?!

ნახევარი საუკუნის არ ყოფნის შემდეგ, როცა შარშან სამშობლო მოვინახულე, გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ნაღები ქართული ინტელიგენცია არ განიცდიდა ამ საშიშროების არსებობას. მათი გონება მხოლოდ პირად ვნებათა ღელვას მოეცვა.

ასეთივე უპასუხისმგებლობით მაკვირვებს ჩვენი მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის საჭეთმპყრობლის, ილია მეორის მოქცევა და თავისმართლება მის უკანასკნელ საშობაო ეპისტოლეში. "ჩვენს წინ რომ უცხო მტერი ყოფილიყო, პირველნი შევეგებებოდით მას, ბრძანებს მწყემსთმთავარი და აგრეთვე ლებს, მაგრამ ჩვენს საწყსოში, ჩვენს შვილებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება არ გვქონდა" - ო.

ეკლესიის მოვალეობაა, სიმართლეს ემსახუროს, მაგრამ ასე ვერც სიმართლეს მოვემსახურებით და ვერც ბოროტებას აღმოვფხვრით! ამ აზრის სიმცდარეს თვით ბიბლია მიგვითითებს. მართლაც, როცა კაენმა მისი ძმა აბელი მოკლა, მამაზეციერმა მას კი არ დაუყვავა, თავზე ხელი კი არ გადაუსვა იმიტომ, რომ კაენიც მისი გაჩენილი და მაშ, მისი შვილი იყო, არამედ მრისხანედ ჩამოსძახა: "სად არის შენი ძმა აბელი? ეს რა ჩაიდინე?! შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს. ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან, დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას, დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე!" (ბიბლია, დაბადება თავი IV, მუხლები: 9-10-11-12)

ვინაა ძმის მკვლელი და ვინ კიდევ მისი მსხვერპლი? აი კითხვა უბრალო, მაგრამ რაოდენ მტკივნეული და მნიშვნელოვანი აგრეთვე. ამ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი კათალიკოსს და ბოროტმოქმედი დაეწყევლა და შეეჩვენებია: მით უფრო, რომ ბოროტება მთელი ერის მიმართაა ჩადენილი. ამის მაგიერად ის ერთნაირ ბრალდებას უყენებს მკვლელსაც და მსხვერპლსაც, ხოლო მესამეს, მთავარ ბოროტმოქმედს სრულებითაც ვერ ხედავს და მით ანთავისუფლებს მას ჩადენილი საშინელი ცოდვისაგან.

გიორგი წერეთელი. პარიზი.

ფრაგმენტი წერილიდან "ბრალს ვდებთ რუსულ იმპერიალიზმს." "გუშაგი" №27

მართლმადიდებლობის ზეიმი უჩვენოდ?

1992 წლის 15 მარტს კონსტანტინოპოლში შედგა მსოფლიოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პატრიარქების შეხვედრა, რომელიც ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ბოლოდროინდელი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

თორმეტმა პირველიერარქმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც შეიზღუდა ვატიკანთან დიალოგი, დაიგმო რომის პაპის იურისდიქციის ქვეშ მყოფი უნიატების მოქმედება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამასთან ერთად მიღებულია მიმართვა ვატიკანისადმი, სადაც თანადგომას ითხოვენ სერბულ-ხორვატული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში. როგორც მკითხველს მოეხსენება, სერბები მართლმადიდებლები, ხოლო ხორვატები კათოლიკები არიან.

მართლმადიდებლობის ზეიმზე, 15 მარტს, რომელსაც მსოფლიო პატრიარქმა მართლმადიდებლობის ტრიუმფი უწოდა, წმიდა ქალაქ კონსტანტინოპოლში ლოცვა უფლისა მიმართ აღევლინებოდა საქართველოს ეკლესიის მეთაურის გარეშე?!

ჩვენ უმორჩილესად ვთხოვთ საქართველოს საპატრიარქოს მოგვაწოდოს ინფორმაცია ამ ისტორიული შეხვედრის შესახებ და აგვიხსნას მიზეზი, თუ რატომ არ იქნა მიწოდებული მორწმუნე საზოგადოებისათვის სულ მცირედი ინფორმაცია მაინც.

საკუთარი ინფორმაცია

მინაწერი. დღევანდელი თბილისური პრესის დუმილი, ჩვენთვის სრულებით არ არის გასაკვირი.

"ქველმოქმედება"

როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას წარმომადგენლებმა საზღვარგარეთ, ბატონებმა შალვა ჩხოტუამ და რენო სირაძემ შეგვატყობინეს, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, ქალბატონ ქეთევან ორსინი - ბაგრატიონის აქტიური შუამავლობით, იტალიის ხელისუფლებასთან დადო კონტრაქტი საქართველოს პოლიციისთვის აღჭურვილობის მოწოდებაზე. ეს არის იტალიური წარმოების ხელკეტები დემონსტრანტების დასაშლელად. ჰუმანიტარული დახმარება ყველა სხვა სახის დახმარებაზე მეტად სჭირდება დღევანდელ "ხელისუფლებას". რაც შეეხება ხალხს, მან უკვე იწვნია ამ ჰუმანიტარული დახმარების სიკეთე.

გარდა ამისა, კონტრაქტის თანახმად, იტალიაში იკერება ახალი უნიფორმა ჩვენი "სახელოვანი" მილიციისთვის, ჯერ გაურკვეველია, უწოდებენ თუ არა თავის თავს მადლიერი მილიციელები კარაბინერებს. როგორც პრეზიდენტის წარმომადგენლებმა შეგვატყობინეს, ამ უნიფორმების საფასურად სახელმწიფო საბჭომ საქართველოს ტერიტორიაზე ნადირობის ნება დართო იტალიელ ტურისტებს.

საკუთარი ინფორმაცია

ყურადღება

გაზეთი "თავისუფალი საქართველო" დაინტერესებულია, რათა უშუალო ურთიერთობა დაამყაროს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების "სოიუზპეჩატის" განყოფილებებთან.

ვთხოვთ ყველას (მათ შორის კერძო პირებს), ვინც დაინტერესებულია ჩვენი გაზეთის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებით, გამოგვეხმაუროს.

რედაქცია

ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი,
უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი.

აკაკი წერეთელი

გადავწყვიტე წერილობით მოგმართოთ, ვინაიდან მრავალი რამ ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაში გარკვევას საჭიროებს, როგორც ქართველი ხალხისათვის, ასევე მსოფლიოსათვის ეს წერილი მიზნად არ ისახავს თქვენს განქიქებას, ან თქვენი როგორც პიროვნების შეურაცხყოფას, იგი ასახავს მხოლოდ ობიექტურ რეალობას.

მე ვთვლი, რომ ის რაც ხდებოდა საქართველოში თქვენი მმართველობის დროს საბჭოთა პერიოდში, სახეცვლილად გრძელდება დღესაც და ასახავს ურთიერთობას საქართველოსა და იმპერიულ ცენტრს შორის, რომელმაც იმთავითვე დაგაკისრათ ფუნქცია საქართველოს ჟანდარმისა. ამიტომ მსურს გაგახსენოთ ყველაფერი უმცირეს დეტალებში და მოგახსენოთ ჩემი დასკვნები, მზად ვარ აგრეთვე მოვისმინო თქვენი კონტრარგუმენტები. დანარჩენი კი ერმა და საზოგადოებამ განსაჯოს.

მართალია პიროვნულად ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან გიცნობდით, მაგრამ ჩვენი პირველი საქმიანი შეხვედრა მოხდა 1970 წელს. იმხანად თქვენ შინაგან საქმეთა მინისტრი იყავით და მამაჩემის, კონსტანტინე გამსახურდიას მეგობრად და კეთილისმსურველად სახავდით თავს. ამან გამაბედინა თქვენთან მოსვლა, როდესაც მამაჩემმა საახალწლოდ მიიღო ანონიმური წერილი ვითომდაც "რუსი და სომეხი ნაცისტებისა", კუთხოვანი ასოებით დაწერილი ქართულ ენაზე, რომელიც ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მამაჩემს და მთელს ქართველ ერს. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ ქართველი ერი გადაგვარებისა და მოსპობის გზაზეა დამდგარი, და რომ ამას დააჩქარებენ რუსი და სომეხი "ნაცისტები". მათი თქმით აღმოსავლეთ საქართველო უნდა გადასულიყო სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელში, დასავლეთ საქართველო კი რუსეთის ხელში. კონსტანტინე გამსახურდია, როგორც ეროვნული მოღვაწე ამ "ნაცისტებს" უმთავრეს დაბრკოლებად ესახებოდათ ამ მიზნის მიღწევის გზაზე და ემუქრებოდნენ სიკვდილით. წერილში იყო ასეთი ფრაზა: "მოველით იმ წუთს, როდესაც დავიწყებთ ქართველთა სისხლის დაღვრას. ხოცვას ახალგაზრდებიდან დავიწყებთ."

დიდხანს ვცდილობდი თქვენთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ. თქვენი მისაღები ხან მპასუხობდა თათბირი აქვსო, ხანაც რაიონშიაო წასული. ჩანს წინასწარ იცოდით თუ რა საკითხზე მსურდა თქვენთან დაკავშირება. ბოლოს, როგორც იქნა, მწერალთა კავშირიდან მთავრობის აპარატით დაგიკავშირდით და მიმიღეთ. თქვენ წაიკითხეთ წერილი, განცვიფრება გამოხატეთ და დაავალეთ გამოძიება შსს ერთერთ გამომძიებელს. თანაც მითხარით ათიოდე დღეში გამოიარეო. ამასთან რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, რომ თქვენ საუბარზე დაისწრეთ ქალაქის მილიციის საგამომძიებლო განყოფილების ყოფილი უფროსი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), რომელმაც კინაღამ სიცოცხლეს გამოგვასალმა მე და მერაბ კოსტავა 1959 წელს საპატიმროში რეციდივისტი მკვლელების ხელით. აი, ასე გამეცით "სიმბოლური" პასუხი ჩემს კანონიერ მოთხოვნაზე, რომ გამოგეძიებინათ იმ ანონიმური წერილის ავტორის ვინაობა და როგორც ჩანს გამოხატეთ თქვენი პოზიცია. ცხადია შემდგომში არც არაფერი გამოიძიეთ და მიაფუჩეჩეთ საქმე. მრავალი რამ იმ "ნაცისტების" მუქარიდან თანდათანობით რეალობად იქცა მომდევნო წლებში, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წელს, საქართველოში დატრიალებული სისხლიანი მოვლენების დროს, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ, ახლა კი ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების სხვა მომენტებს დავუბრუნდები.

მჟავანაძისეული პერიოდის კორუფციისა და განუკითხაობის დროს ქართველი საზოგადოება გამოსავალს ეძებდა. თქვენ აცხადებდით, რომ იბრძოლებდით პატიოსნებისა და პრინციპულობისათვის, უშველიდით ქართულ კულტურას, მოუღებდით ბოლოს მაფიის თარეშს. (ცხადია, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე ოცნებაც კი გამორიცხული იყო მაშინ), ამიტომ მრავალი მიესალმა თქვენს მოსვლას ხელისუფლების სათავეში 1972 წელს და მეც იმედი გამიჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი დისიდენტი და საბჭოთა სისტემის მტერი. თუმც, ახლა ვხედავ, რომ ეს იყო ახალგაზრდული გამოუცდელობა და კომუნისტური დემაგოგიის ვერშეცნობა ჩემის მხრით. რა უნდოდა იმის დანახვას, რომ კორუფციასთან ბრძოლის დროშაააფრიალა ყველაზე მეტად კორუმპირებული სამინისტროს ხელმძღვანელმა და რომ პოლიტბიურო მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ და შემოწმებულ კარიერისტ კოლაბორაციონისტებსა და რუსიფიკატორებს ნიშნავდა ნაციონალისტური რესპუბლიკების ხელმძღვანელად? თურმე თვით მჟავანაძეც კი "ნაციონალისტად" მიაჩნდათ თქვენთან შედარებით, ვინაიდან მან (თავისი სისუსტით და არა პატრიოტიზმით) ვერ გამოუცხადა ომი საკუთარ ერს, მის ენასა და კულტურას, მის თვითმყოფადობას. ამიტომ იყო აღნიშნული პოლიტბიუროს ცნობილ დადგენილებაში მისი პერიოდის "ნაციონალისტური" გადახრები. ხელისუფლების სათავეში თქვენი მოსვლის შემდეგ მალე გაქარწყლდა ილუზია, რომ თქვენ კომუნისტური და რუსოფილური ნიღაბი გჭირდებოდათ მოსკოვის მოსატყუებლად, რათა ეროვნული საქმისათვის მიგეხედათ. თქვენ დაიწყეთ რუსიფიკაციის კამპანია ისეთი მასშტაბით, რომელიც არ მოსწრებია ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს თვით ცარიზმის შავბნელი რეაქციის წლებშიც კი. თქვენ განდევნეთ ქართული ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, რუსული ენა კი ფაქტიურ სახელმწიფო ენად აქციეთ. დაიწყეთ კამპანია ეროვნული სულის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, თვით ისტორიულ თემაზე წერასაც კი "ნაციონალიზმად" ნათლავდით, ხოლო თქვენი მწერლები და კინორეჟისორები უკვე აშკარად გადავიდნენ ისტორიის გაყალბებაზე, საქართველოს რუსეთთან შეერთების, როგორც უაღრესად პროგრესული მოვლენის აპოლოგიაზე, "საბჭოთა პატრიოტიზმის", შერეული ქორწინებების პროპაგანდაზე. "ინტერნაციონალიზმის" დროშით დაიწყო ქართული მოსახლეობის არნახული შევიწროება, სოფლად თუ ქალაქად, არაქართველთა პრივილეგირების პარალელურად. დაიწყო ბრძოლა "მავნე ჩვეულებებისა და ტრადიციების"(!) წინააღმდეგ, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან ბრძოლასაც, პარალელურად კი ნერგავდით კომუნისტურ, საბჭოთა "დღესასწაულებს", სადაც ღრეობისა და მუცელღმერთობის გარდა არაფერი ხდებოდა, ნერგავდით "ახალ რიტუალებს", ე.ი. ახალ საბჭოთა, კომუნისტურ რელიგიას.

დღეს, კრიმინალურ-ტერორისტული ხუნტის მოწვევით საქართველოში ჩამოსულს თქვენ და თქვენ მიმდევარ პარტოკრატებს ხშირად გხედავენ ეკლესიებში, სადაც სანთლებს ანთებთ ხოლმე. შთამომავლობამ უნდა იცოდეს, თუ როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიასთან; როგორ მართავდა მას თქვენი რწმუნებული, როგორ ცდილობდით მის გადაქცევას სუკ-ის ფილიალად, როგორ არბევდნენ თქვენი კომკავშირლები მორწმუნე ახალგაზრდობას, განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაულზე. მათ ეკლესიების გვერდით გახსნილ კომკავშირულ შტაბებში შეჰყავდათ ახალგაზრდები, რომელნიც აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიაში ბედავდნენ მისვლას. ამ შტაბებში ხდებოდა მათი ტერორიზება, "დამუშავება", აღრიცხვაზე აყვანა, ხოლო შემდეგ ამას მოსდევდა რეპრესიები, სასწავლებლებიდან გარიცხვა, ოჯახების დაწიოკება და სხვა. როგორ დაიწყეთ ეკლესია მონასტრების გადაკეთება თეატრებად, საკონცერტო დარბაზებად, როგორ გააუქმეთ, მაგალითად, შიომღვიმის მონასტერი 1980 წელს, როგორ დაამწყვდიეთ მისი წინამძღვარი, მოხუცი კაცი ეკლესიის შენობაში, ზამთრის ყინვაში, რის შედეგადაც მას კინაღამ სული ამოხდა, როგორ იმსხვერპლა სუკ-ის ტერორმა მრავალი სამღვდელო პირი და ეკლესიის მსახური, როგორ უწყობდით ხელს "ზაკოს" სამხედროებს ჩვენი კულტურის უნიკალური ძეგლების, განსაკუთრებით დავით-გარეჯისა და გელათის განადგურებაში, რაც იმპერიის გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ თანდათანობით ზრდიდით რუსული ენის საათებს ქართულ სკოლებში ქართული ენის ხარჯზე, როგორ კრძალავდით საქართველოს ისტორიის სწავლებას, როგორ დააპირეთ 1976 წელს უმაღლესი სასწავლებლების რუსიფიკაცია, ძირითად საგნებში ლექციების რუსულ ენაზე კითხვის დაკანონება, რამაც გამოიწვია დიდი აღშფოთება შეგნებული ქართველი საზოგადოებისა. ამავე წლებში ბრეჟნევისეულ გიგანტომანიას, გიგანტური ჰესებისა და საწარმოო ობიექტების მშენებლობას ყველაზე აქტიურად თქვენ დაუჭირეთ მხარი, რაც იყო გამოვლინება საქართველოს წინააღმდეგ ეკოლოგიური ომისა და საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გენოციდს. ეს აჩქარებდა აგრეთვე ქართველი ხალხის ასიმილაციას, ვინაიდან ასეთი მასშტაბების მშენებლობას ეროვნული კადრებით არა თუ საქართველო, არამედ თვით უკრაინა და ყაზახეთიც ვერ აუდიოდა. თქვენ იყავით ერთ-ერთი ინიციატორი ავადსახსენებელი როკის გვირაბის გაყვანისა, რის შედეგებსაც ახლა იმკის საქართველო და რამაც დაგვაკარგვინა შიდა ქართლი და სამაჩაბლო.

თქვენ, ავადსახსენებელი სუსლოვის ინსტრუქციების შესაბამისად, ყველაფერი იღონეთ იმისათვის, რომ აფხაზეთში ყოველნაირად გაძლიერებულიყო სეპარატისტული მოძრაობა და მომზადებულიყო სისხლიანი ეთნოკონფლიქტი.

თქვენ მიერ გაჩაღებულმა კამპანიამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, კორუფციასთან მოჩვენებითმა ბრძოლამ, საშუალო და დაბალი ფენა დააზარალა, მსხვილ მექრთამეთა "ელიტა" კი ხელშეუხებლად დატოვა. იმ დროს, როდესაც ხაბეიშვილისა და მგელაძის კორუმპირებული მაფია მილიონებს ატრიალებდა, რომელთაც უხვად უგზავნიდით პოლიტბიუროს, თქვენ, წონაში მოტყუებისა და უმცირესი სამეურნეო დანაშაულებისათვის ციხეებში ყრიდით და აციმბირებდით ათასობით უბრალო ადამიანს. როგორც ერთმა პოეტმა შეგნიშნათ, თქვენს დროს აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ასამართლებდა, ხოლო თქვენ ამ აქლემის ქურდებს სხვადასხვა დიდი თანამდებობებით აჯილდოებდით, ციხეებში დანერგეთ არნახული სადისტური წამების მეთოდები, თქვენს მიერ შექმნილ სპეციალურ მეორე კორპუსში სადისტმა გამომძიებლებმა და აგენტმა პატიმრებმა დაასახიჩრეს და დახოცეს ასობით ადამიანი, ჩვენებებისა და ფულის გამოძალვის მიზნით, გააუბედურეს ათასობით ოჯახი (ცირეკიძე-უსუპაიანის საქმე, ფროლოვის საქმე, ოპერის საქმე და სხვა). დღეს ბევრი მათგანი აღდგენილია და იმავე ადგილებზე მუშაობს, ალბათ ახალ დატვირთვებს მისცემთ მათაც. "ნეგატიურ მოვლენებთან" ბრძოლის პარალელურად თქვენ თავად ნერგავდით კრიმინალურ პრაქტიკას საწარმოო სამეურნეო სფეროში. კახეთში თქვენს მიერ ღვინის ფალსიფიკაციის მიზნით შეტანილმა შაქარმა სახელი გაუტეხა ქართულ ღვინოს და ქართველ მეღვინეებს. სამაგიეროდ ამგვარმა ფალსიფიკაციამ და მიწერებმა მოგიტანათ გარდამავალი დროშები, სოციალისტური შრომის გმირის ორდენები და გზა გაგიკაფათ კრემლის დიდებისაკენ.

იმ წლებში საზოგადოების მორალური დეგრადაცია იმითაც დაჩქარდა, რომ თქვენ თანამდებობის მოპოვების თუ საზღვარგარეთ მივლინებით წასვლის მთავარ პირობად სუკ-ის აგენტობა აქციეთ, რის შედეგადაც სუკ-ის აგენტურულ ქსელში ჩაითრიეთ ქართველი ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა და სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი. საერთოდ, სუკ-ის აგენტების რაოდენობამ თქვენი მმართველობის პერიოდში რეკორდულ ციფრს მიაღწია, რასაც თქვენ "პიროვნების სოციალიზაციას" უწოდებდით და როგორც ჩანს განზრახული გქონდათ უდიდესი ნაწილის ჩაბმა ამ შავბნელი ორგანიზაციის სამსახურში.

თქვენ აღმართეთ თბილისის ცენტრში მოღალატე ორჯონიკიძის უდიდესი ძეგლი, ხოლო ოზურგეთში ძეგლი დაუდგით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორს ფილიპე მახარაძეს, ყოველნაირად ნერგავდით კომუნისტი ძმათამკვლელებისა და რენეგატების კულტს, ლენინის ძეგლების რაოდენობით ხომ საქართველომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას გადააჭარბა. სტალინის კულტსაც ფარულად უწყობდით ხელს, ვინაიდან სტალინი ოფიციალურად დაგმობილი იყო. თქვენ არაერთხელ გითქვამთ ვიწრო წრეში რომ სტალინი თქვენი მოძღვარი იყო, რასაც საქმით ამტკიცებდით ყოველ ნაბიჯზე. ამავე დროს ძეგლები არ ეღირსათ საქართველოში დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს და სხვა მრავალ დიდ ეროვნულ მოღვაწეს.

საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში თქვენ სიტყვა "ქართველი" ხაზინის ქურდის, მექრთამეობის, სპეკულანტის სიმბოლოდ აქციეთ, იმ დროს როდესაც კორუფცია და სპეკულაცია იმპერიის სხვა რეგიონებში უფრო მეტად ყვაოდა.

თქვენ ებრძოდით საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნულ მწერლობასა და მეცნიერებას, სამაგიეროდ აყვავეთ "მურტალო-კუკარაჩების" და "შემფერი ნეკების" ცრუ ლიტერატურა და ანტიეროვნული ცრუ მეცნიერება. თქვენ არნახული სისასტიკით სდევნიდით არა მარტო დისიდენტურ მოძრაობას, არამედ თვით უმცირეს მისწრაფებასაც თავისუფლებისადმი, რაზეც აქ განსაკუთრებით უნდა შევჩერდე.

1976 წელს თქვენ დახვრიტეთ ქართველი პატრიოტი ვლადიმერ ჟვანია, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, რომელმაც მოაწყო საპროტესტო აფეთქებები მთავრობის შენობის წინ თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში, 1983 წელს თქვენი ბრძანებით წამებით მოკლეს ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირუთვნელი ჟურნალისტი ქალი ნაზი შამანაური, თქვენი მაფიის მხილებისათვის. 1983 წელს დახვრეტინეთ ცნობილი "თვითმფრინავის საქმეზე" დაპატიმრებული ახალგაზრდები, თუმც სხვა რესპუბლიკებში მინიმალურ სასჯელს აძლევდნენ ასეთი დანაშაულისათვის. მათთან ერთად დახვრიტეთ უდანაშაულო მღვდელი თედორე ჩიხლაძე, როგორც ვითომდაც მათი "იდეური ხელმძღვანელი", სინამდვილეში კი იმის გამო, რომ არ ისურვა სუკ-ის აგენტობა.

საქართველოს სავალალო მდგომარეობამ, თქვენმა დრაკონულმა რეპრესიებმა, ანტიქართულმა და ანტიდემოკრატიულმა პოლიტიკამ გამოიწვია საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც მე და მერაბ კოსტავა ჩავუდექით სათავეში. ერთხანს ჩვენ ვცდილობდით იატაკქვეშა მოძრაობის პარალელურად ოფიციალურადაც გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები დაკეტილი იყო ჩვენთვის, გწერდით წერილებს, განცხადებებს, ქართული ენის, ქართული კულტურის ძეგლების, ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე.

მიღებაზე მუდამ უარს გვეუბნებოდით, განცხადებებზე კი არავითარი რეაქცია არ ჩანდა, გარდა იმისა, რომ თქვენს გამოსვლებში დაუსახელებლად ხშირად გვიწოდებდით ანტისაბჭოთა დემაგოგებს, სამშობლოს მოღალატეებს (ცხადია სოციალისტურ სამშობლოს გულისხმობდით, ვინაიდან სხვა სამშობლო არასოდეს გწამდათ და არც გწამთ). ბოლოს მთლიანად გადავედით იატაკქვეშა ბრძოლაზე, მჭიდროდ დავუკავშირდით საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ მოძრაობას, ვინაიდან მაშინ ჩვენი ბრძოლა ერთ მიზანს ისახავდა. ამას მოჰყვა ჩვენი დევნა სუკ-ის მიერ, დაბარებები, გაჩხრეკები, დაკავებები, ბოლოს კი ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღდა უპრეცედენტო ცილისმწამებლური კამპანია პრესითა და ტელევიზიით, ხოლო 1977 წელს დაგვაპატიმრეთ. სუკ-ის ჯურღმულები არ გვაკმარეთ და ფსიქიატრიულ ციხეებში გვიკარით თავი: მე მოსკოვში, სერბსკის ჯალათ-ფსიქიატრთა "ინსტიტუტში", ხოლო მერაბ კოსტავას თბილისის ორთაჭალის ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. შეშლილებად გსურდათ ჩვენი გამოცხადება თქვენი დრაკონული რეჟიმის მხილებისა და სიმართლის თქმისთვის. ბოლოს ჰონოლულუს ფსიქიატრთა მსოფლიო კონგრესზე საბჭოთა სადამსჯელო ფსიქიატრიის დაგმობამ გვიშველა, აგრეთვე საფრანგეთის ფსიქიატრთა პროტესტმა, წინააღმდეგ შემთხვევაში დნეპროპეტროვსკის ფსიქიატრიულ ციხეში ამოგვხდიდნენ ორივეს სულს.

სუკ-ში პოლიტპატიმრობისას წელიწადნახევრის მანძილზე მიწევდნენ შანტაჟს, მემუქრებოდნენ ამერიკის დაზვერვის აგენტად გამოცხადებით, სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებით, ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურებით, მოსალოდნელი ახალგაზრდული დემონსტრაციების გაჟლეტით, ხოლო მოსკოვში პატიმრობისას ავადსახსენებელი სუსლოვის ემისრები საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებითაც კი მემუქრებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ არ მოვინანიებდი. ჩემი მეუღლე კი, ძუძუთა ბავშვის დედა, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი სამსახურიდან მოახსნევინეთ, რაც არც ჰიტლერს და არც სტალინს არ ჩაუდენიათ. დღეს თქვენი აგენტები აყალბებენ ჩემი ე.წ. "მონანიების" არსს, იყენებენ ამას ჩემი დისკრედიტაციისთვის, თითქოს არ იცოდნენ საქმის რეალური ვითარება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ განვმარტო ჩემი ტაქტიკური უკანდახევა სასამართლოზე 1978 წელს.

ჩვენი დაპატიმრების შემდეგ ეროვნულ მოძრაობას განადგურების საფრთხე დაემუქრა. აღარავინ რჩებოდა გარეთ დასავლეთის ქვეყნებთან ხიდის გამდები, თვითგამოცემებისა და იატაკქვეშა მუშაობის ორგანიზატორი. ბოლოს მე და მერაბ კოსტავამ მოვილაპარაკეთ, რომ მე "მოვინანიებდი" ჩემს ზოგიერთ ქმედებას, გამოვიდოდი ციხიდან და გარეთ განვაგრძობდი საქმიანობას, შევინარჩუნებდი თვითგამოცემას, შევინარჩუნებდი საინფორმაციო ხიდს დასავლეთთან, ხოლო მერაბ კოსტავამ თავად იტვირთა ციხეში დარჩენა, თანაც გააკეთა წერილობითი განცხადება, რომ ჩემი ე.წ. "მონანიება" აუცილებლობით იყო გამოწვეული ჩვენი საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. მე გამოვიტანე ეს განცხადება ციხიდან, მაგრამ არ გამომიქვეყნებია, ვშიშობდი რამე ზიანი არ მიმეყენებინა მეგობრისათვის. ბოლოს, განთავისუფლების შემდეგ მან თავად გამოაქვეყნა იგი 1987 წელს მოსკოვის ჟურნალ "გლასნოსტის" მეხუთე ნომერში (რედაქტორი ს.გრიგორიანცი). ამგვარი შინაარსის წერილი მისწერა მან ე. ბონერსაც სახაროვისთვის გადასაცემად ქსნის კოლონიიდან იმავე წელს. მაგრამ ჰოი საოცრებავ, დღეს თქვენ და თქვენი დამქაშები ჩემს ამ ტაქტიკურ უკანდახევას "ღალატად" ნათლავთ, თითქოს მერაბ კოსტავაზე დიდი მორალური ავტორიტეტები იყოთ და ეროვნული მოძრაობის თავკაცები.

მაგრამ თქვენ სულ სხვა მიზეზის გამო არ გასვენებთ ჩემი "მონანიება". საქმე ის გახლავთ, ჩემი "მონანიება" და ციხიდან გამოსვლა რომ არ მომხდარიყო, არ იქნებოდა არც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, არც 9 აპრილი და არც იმპერიის ბატონობის დასასრული 1990 წლის 28 ოქტომბრის თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების სახით, ამიტომაც ვერ მოგინელებიათ ჩემი "მონანიება" და დღემდე კბილებს აღრჭიალებთ მისი გახსენებისას.

ბოლოს გადამასახლეთ ნოღაეთის ნახევარუდაბნოში, სადაც ქართველმა მწყემსებმა გადამარჩინეს შიმშილითა და სიცივით სიკვდილს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი თქვენმა დამქაშებმა გამიერცელეს ჭორი, თითქოს მე თქვენი აგენტი გავხდი, რაც ერთხანს ირწმუნა საზოგადოების ნაწილმა და რასაც დიდხანს იმეორებდნენ ჭანტურია და სხვა მოღალატენი, ვიდრე თავად არ გამოვლინდნენ, როგორც თქვენი აგენტები. თანაც საზოგადოებამ დაინახა, რომ ისევ მე ვიყავი ერთადერთი კაცი, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას ვაწვდიდი ინფორმაციას საქართველოს შესახებ, ვახერხებდი თვითგამოცემას, ვაწყობდი საპროტესტო აქციებს ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად. ბოლოს ის ახალგაზრდებიც ჩამომაშორეთ და მტრებად მიქციეთ ისინი სუკ-ის ჯოჯოხეთური მანქანის მეშვეობით. გარდა ამისა ყველა ხედავდა, რომ სუკ-ის ყველაზე დიდი დევნისა და მეთვალყურეობის ობიექტი ისევ მე ვიყავი, ხელახალ დაპატიმრებას კი ველარ ბედავდით, ვინაიდან უცხოეთში ძალზე გახმაურდა ჩემი სახელი.

ჰო მაგრამ, მეტყვიან, თქვენი დამქაშები, თქვენ შევარდნაძის წარსულზე საუბრობთ, მაგრამ დღეს იგი აღარ არის ის, რაც იყო, შევარდნაძე გადემოკრატდა. იგი ხომ "პერესტროიკის" ერთ-ერთი ავტორია, მან თავისი წარსული შეცდომები დაგმო, კომპარტიიდან გავიდა, ნუღარ იხსენებთ მის წარსულს მის აწმყოზე ილაპარაკეთ. კეთილი და პატიოსანი. განვიხილოთ თქვენი მოღვაწეობა "პერესტროიკის" შემდეგ. მართალია თქვენ და გორბაჩოვი იძულებული გახდით მსოფლიო საზოგადოებრიობის დაწოლით დაგეწყოთ შედარებითი ლიბერალიზაცია, მაგრამ მიუხედავად პოლიტპატიმრების განთავისუფლებისა და რუსი დისიდენტების რეაბილიტაციისა, გრძელდებოდა ქართველი დისიდენტების დევნა და საზოგადოებიდან იზოლაცია. ჩემს წინააღმდეგ ისევ მძვინვარებდა კამპანია 1987-89 წლებში საბჭოთა პრესაში, მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა ეროვნული მოძრაობის აზვირთება საქართველოში, რისი კულმინაციაც იყო 9 აპრილი, როდესაც თქვენ და გორბაჩოვმა უკანასკნელად სცადეთ სამხედრო ძალით გაგენადგურებინათ ეროვნული მოძრაობა საქართველოში. დამახასიათებელია ის, რომ თქვენ 9 აპრილს დამსჯელი ოპერაციის ერთ-ერთი ავტორი და დამგეგმავი, საქართველოში მიგავლინეს და მოგახსნევინეს კომენდანტის საათი (თუმც დღეს მოსკოვის მიერ მოწყობილი პუტჩის შემდეგ ისევ თქვენ დააწესეთ უსასრულო კომენდანტის საათი, რომლის მოხსნასაც აღარ აპირებთ). ბოლოს საქართველოში გაიმარჯვა დემოკრატიამ, ჩატარდა თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც თქვენი და თქვენი პარტიისათვის კრახით დამთავრდა. იმ დღიდან თქვენ გულში ჩაიდეთ რევანში და ყველაფერი იღონეთ იმისთვის, რომ ეს მონაპოვარი გაგენადგურებინათ და მიაღწიეთ კიდეც ამას იმპერიული ძალების დახმარებით. ხალხისთვის თვალის ასახვევად თქვენ მომილოცეთ ტელეგრამით არჩევნებში გამარჯვება, მაგრამ რამდენად გულწრფელი იყო ეს მილოცვა, დაადასტურა შემდგომი დროის მოვლენებმა. თქვენ შექმენით მოსკოვში შტაბი, რომელშიც გააერთიანეთ საქართველოდან გაქცეული ყველა რენეგატ-პარტოკრატი და გააჩაღეთ უპრეცედენტო კამპანია მთელს მსოფლიოში საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და პირადად ჩემს წინააღმდეგ. თქვენს მიერ მოსყიდულ ყოფილ დისიდენტებთან და ეროვნული მოძრაობის მოღალატეებთან ერთად არწმუნებდით მსოფლიოს რომ საქართველოში დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი, ფაშისტური დიქტატურა, რომლის დამხობაც აუცილებელია. რა დიქტატურაზე შეიძლებოდა საუბარი, როდესაც გამოდიოდა 20-ზე მეტი ოპოზიციური გაზეთი, ტელევიზიით იკრძალებოდა მხოლოდ ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება, თავისუფლად დათარეშობდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და პარტიები, დავაპატიმრეთ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სჩადიოდნენ კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულს, ბანდიტიზმს, ქუჩების გადახერგვას ბარიკადებით, ტელევიზიის აღების მცდელობას.

თქვენ იყენებდით საბჭოთა იმპერიასა და დასავლეთს შორის დამყარებულ ალიანსს თქვენი საკუთარი ქვეყნის გასანადგურებლად, მისი ლიბანიზაციის დასაჩქარებლად, სისხლიანი პუტჩისა და გადატრიალების მოსაწყობად. თქვენი მეცადინეობით ჩვენს წინააღმდეგ ამოქმედდა კრემლის უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა, რომლის წინაშე ჩვენი საინფორმაციო საშუალებები უძლური აღმოჩნდა. პარალელურად კრემლი აძლიერებდა საქართველოში თავის მიერ შექმნილ შეიარაღებულ "ოპოზიციას" და მის მოკავშირე კრიმინალურ ბანდებს, რომელთაც აიარაღებდა საოცარი ინტენსივობით. ხოლო როდესაც ჩვენ კანონი ავამოქმედეთ, დასცეს განგაში პოლიტიკური რეპრესიების შესახებ. ამასთან თქვენ და გორბაჩოვი ყოველნაირად უჭერდით მხარს ოს სეპარატისტებს, რაც ხელს უწყობდა შიდა ქართლის კონფლიქტის გაღვივებას და საუკეთესო საშუალება იყო ჯარის შემოყვანისა და საქართველოს ხელახალი ანექსიისა. ამასთან ყოველნაირად ინილბებოდით და მალავდით კავშირს ამ მოვლენებთან. თქვენ თითიც არ გაანძრიეთ იმისთვის, რომ ეს საფრთხე აშორებოდა საქართველოს. შეგახსენებთ ერთადერთ სატელეფონო საუბარს, რომელიც შედგა ჩვენს შორის 1991 წლის გაზაფხულზე, როდესაც გორბაჩოვმა დააპირა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შიდა ქართლის მთელს ტერიტორიაზე, რაც საქართველოს ხელახალ ოკუპაციას მოასწავებდა. მაშინ ჯერ კიდევ ვფიქრობდი რომ შეგებრალებოდათ თქვენი ქვეყანა და სწორ ინფორმაციას მაინც მივიღებდი თქვენგან ამ საშინელი საფრთხის შესახებ. როდესაც ტელეფონით დაგიკავშირდით თქვენ მითხარით, რომ მე უნდა დამერეკა გორბაჩოვისთვის და მეთხოვა შეეჩერებინა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ გორბაჩოვი სანაცვლოდ მომთხოვდა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, ამიტომ, ცხადია, აღარ დავურეკე მას. შემდეგ მე მოვითხოვე თქვენგან დაგვხმარებოდით საქართველოს გამოყოფაში სსრ კავშირიდან, თანაც შეგახსენეთ რომ თქვენ თქვენი სამშობლოს მეტი არაფერი დაგრჩენოდათ და უნდა გეფიქრათ მის კეთილდღეობაზე. "დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც შემიძლია" - ასეთი იყო თქვენი პასუხი, მე გკითხეთ აგრეთვე, მიეცით თუ არა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას 31 მარტის რეფერენდუმზე, რაზედაც თქვენ დუმილით მიპასუხეთ. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ მხოლოდ 17 მარტის ე.წ. საკავშირო რეფერენდუმში მიიღეთ მონაწილეობა და ხმა მიეცით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ხოლო 31 მარტს საქართველო და მისი დამოუკიდებლობა არც გაგხსენებიათ.

მაგრამ თქვენი ყველაზე დიდი დანაშაული მაინც არის საქართველოში კრიმინალური რევოლუციის შემზადება და განხორციელება, რასაც პრეცედენტი არ გააჩნია მსოფლიო ისტორიაში. თქვენ, ერთ დროს დანაშაულობასთან ვითომდაც უკომპრომისო მებრძოლი, დაუკავშირდით დამნაშავეთა სამყაროს და მისი მეშვეობით მოახდინეთ გადატრიალება საქართველოში. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ჯ.იოსელიანი თავის "მხედრიონით" და თ.კიტოვანი თავისი კრიმინალური "გვარდიით", რომელმაც უღალატა კანონიერ ხელისუფლებას, თქვენი დასაყრდენნი არიან დღესაც. თქვენს მიერ შექმნილმა კრიმინალურმა ხუნტამ, საქართველოში "ზაკვოს" ჯარების დახმარებით დაატრიალა იგივე, რასაც სჩადიოდნენ მურვან-ყრუს, ჯალალედინის, თემურლენგის, შაჰ-აბასისა და აღა-მაჰმად ხანის ურდოები. ხუნტაში დამნაშავე სამყაროსთან ერთად გაერთიანდნენ მაფიოზი პარტოკრატები და თქვენს მიერ პრივილეგირებული კომუნისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები, ის ინტელიგენტები, რომელთა მიერ იარაღის ხელში აღებას თქვენ მიესალმეთ თვითმფრინავის ტრაპიდანვე საქართველოში ჩამოსვლისას. აი, ის სოციალური ფენები, რომელთაც თქვენ ეყრდნობით დღეს და რომელთა ხელითაც აპირებთ საქართველოს მომავლის "აშენებას".

საქართველოს ციხეებიდან და კოლონიებიდან თქვენი "ამნისტიით" გამოშვებული 4 ათასამდე კრიმინალის დიქტატის ქვეშ არის დღეს მილიცია და პროკურატურა, მთელი სამართალდამცავი ორგანოები, რომელნიც ხელს უწყობენ მათ ახალ-ახალი სისხლიანი დანაშაულების ჩადენაში. თქვენი და ამ კრიმინალების დავალებით შეთითხნა პროკურატურამ "საქმეები" ჩემს წინააღმდეგ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და სხვა თანამდებობის პირების წინააღმდეგ, ხოლო ნამდვილ დამნაშავეთა საქმეები გააუქმა და მათი რეაბილიტაცია მოახდინა. პატიმრობიდან გაათავისუფლა ქართველი ხალხის მოსისხლე მტერი, ბოროტმოქმედი ტ.კულუმბეგოვი, რამაც ახალი აღმავლობა გამოიწვია ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ-ტერორისტული მოძრაობისა და საბოლოოდ დაგვაკარგვინა შიდა ქართლი.

თქვენი ხუნტა პირველი დღეებიდანვე არბევდა და არბევს მშვიდობიან საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციებს. საქართველოში, იანვარ-თებერვალში "გვარდიისა" და "მხედრიონის" კრიმინალებმა დახოცეს და დაჭრეს ასობით დემონსტრანტი, ხოლო შემდეგ დამალეს მათ მიერ დაღვრილი სისხლი, აუკრძალეს რა ჯანმრთელობის სამინისტროს გარდაცვლილთა გვარების გახმაურება. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ეს გვარები ყველასათვის ცნობილია და ადრე თუ გვიან მათი მხეცური მკვლელობისათვის მოგეთხოვებათ პასუხი ყველას.

თქვენმა ხუნტამ საქართველოში გააჩაღა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი და, რაც ყველაზე საგანგაშოა, არნახულად გააღვივა კუთხური შუღლი. ფოთის, სენაკისა და ზუგდიდის "დასალაშქრავად" თქვენ გურულებს, იმერლებსა და კახელებს აგზავნით, თითქოს უცხო ქვეყანას იპყრობდეთ, ძარცვავთ, არბევთ და აწიოკებთ მოსახლეობას, ხოლო როდესაც ზუგდიდის მოსახლეობა აჯანყდა და ქალაქი გაათავისუფლა "მხედრიონის" და "გვარდიის" ბანდებისაგან, თანაც ტყვედ აიყვანა მრავალი მათგანი, ამის საპასუხოდ თქვენ თბილისში დააწვევინეთ კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, თითქოს იგი მარტო სამეგრელოს კუთვნილება ყოფილიყო. როდესაც ზუგდიდის მკვიდრი 50-მდე შვილმკვდარი დედა დემონსტრაციაზე გამოვიდა დაღუპული შვილების პორტრეტებით ხელში თქვენმა "შეიარაღებულმა" ძალებმა ისინი დაარბიეს, სასტიკად სცემეს და შვილების პორტრეტები თავზე გადაამტვრიეს. აი, თქვენი "ჰუმანიზმის", "პატრიოტიზმისა" და "დემოკრატიის" დამადასტურებელი ნიშნები.

დღეს მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებით ხდება თქვენი რეკლამირება, როგორც პოლიტიკოსისა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებში. თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ თქვენ დაიწყეთ გარდაქმნა, გაათავისუფლეთ აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიისპირეთი, გააერთიანეთ გერმანია, განუზომლად გადაჭარბებული შეფასებაა თქვენი პიროვნული როლისა. ეგ ყოველივე რონალდ რეიგანის "სოი"-ს და დასავლეთის პოლიტიკის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის დისიდენტური მოძრაობის დიდი გამარჯვებაა უწინარესყოვლისა, რამაც აიძულა გორბაჩოვის მთავრობა წასულიყო უდიდეს დათმობებზე. თქვენ და გორბაჩოვმა, ფაქტობრივად მხოლოდ უკან დაიხიეთ ძალის წინაშე და ხელი მოაწერეთ ფაქტობრივ კაპიტულაციაზე, რაც დიდ დიპლომატიურ გამარჯვებაზე ვერ მეტყველებს. სასაცილოა დღეს თქვენს მიერ იმის განცხადება რომ ეგ ყოველივე თქვენ გააკეთეთ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიეღწია. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გდომოდათ, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას ესოდენის თავდადებით არ იბრძოლებდით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისათვის, ნებაყოფლობით არ დაბრუნდებოდით შემდგომში ისევ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე და არ განაცხადებდით, რომ საჭიროა სამშობლოს (ე.ი. სსრკ-ს) ხსნა. საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე რომ ყოფილიყავით, მონაწილეობას მიიღებდით 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმში. ამასთან, დასავლეთის ქვეყნებში დიპლომატიური მისიით მოგზაურობისას ერთხელ მაინც განაცხადებდით, რომ ეროვნებით ქართველი ხართ და რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა და იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ თქვენ ქართველად არასოდეს ჩაგითვლიათ თავი, ვინაიდან მუდამ იყავით ნამდვილი "ჰომო სოვეტიკუს", რაც თქვენ თავად აღიარეთ იტალიური გაზეთის, "კორიერე დე ლა სიერასათვის" მიცემულ ინტერვიუში.

სასაცილოა აგრეთვე იმის მტკიცება, რომ თურმე გენშერის მიერ საქართველოში ჩამოტანილი კრედიტი 10 მილიონი მარკის ოდენობით მოხმარდება "დემოკრატიული ინსტიტუტების" განმტკიცებას, რაც თქვენმა მოკავშირემ, ოსტანკინოს დეზინფორმაციის ცენტრმა გვამცნო. ყველასათვის ცნობილია, თუ რა "ინსტიტუტებია" "მხედრიონი", "გვარდია", "სამხედრო საბჭო" ანუ ხუნტა, - რომელიც ცეცხლით და მახვილით ანადგურებს დემოკრატიას საქართველოში, ძარცვავს და არბევს მოსახლეობას, რამაც საქართველო მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე გაღატაკებულ ქვეყნად აქცია, სადაც ყოველდღიურად უკვე მრავალი ადამიანი იღუპება შიმშილით (საქართველოს რადიოს ცნობა). რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს უკანონო რეჟიმის ცნობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ, ეს იმპერიის მხარდაჭერისა და თქვენი დემაგოგიისა და დეზინფორმაციის ხელოვნების შედეგია. მაგრამ, გახსოვდეთ: ჯერ საკუთარმა ხალხმა უნდა გცნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი ფასი არა აქვს უცხო ქვეყნების მხრივ ცნობას. სანუგეშოა, რომ ის ქვეყნები, რომელთაც გადატრიალებამდე სცნეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, აღარ აპირებენ თქვენი უკანონო რეჟიმის ცნობას, საკუთარი ხალხი კი თქვენ არ გცნობთ არასოდეს.

ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს საქართველოში თქვენს მიერ მოხდა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ლეგალიზაცია, ნარკომანია ღია, ლამის ოფიციალურ პრაქტიკად იქცა, ვინაიდან თქვენი ძირითადი დასაყრდენი ძალების, "მხედრიონისა" და "გვარდიის" წევრთა უმრავლესობა ნარკომანები არიან, თითოეულ მათგანს სჭირდება დღეში რამდენიმე ათასი მანეთი მაინც ნარკოტიკული ნივთიერებებისათვის, რის შედეგადაც მათ მიერ იძარცვება საქართველოს მოსახლეობა, იტაცებენ ათასობით კერძო და სახელმწიფო მანქანებს და ყიდიან საქართველოს ფარგლებს გარეთ სრულიად ლეგალურად. ასე გაძარცვეს თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი და სხვა ქალაქები, ახლა კი, ქართული მოსახლეობის გაძარცვის შემდეგ, არაქართულ მოსახლეობაზე გადავიდნენ, რაც გვიქადის ახალ ეთნოკონფლიქტებს. დაბა ყაზბეგი, ჩვენი დიდი ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლო, გადაქცეულია ნარკობიზნესის ცენტრად, მეორე ჰონკონგად, აზიისა და ევროპის ნარკობიზნესის ხიდად. ამის შედეგად იძარცვება სახელმწიფო ხაზინაც, რის გამოც ველარ არიგებთ ჯამაგირებს, პენსიებს, ჰონორარებს, თუმც, პუტჩისტები მაინც ღებულობენ პრემიებს თავიანთი სისხლიანი დანაშაულობებისათვის, როგორც "დემოკრატიისათვის მებრძოლნი". აი, თქვენი "დემოკრატიის" დიდი მიღწევები.

თქვენ ხედავთ, რომ საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ "მხედრიონისა" და "გვარდიის" ნარკომანთა ხელით ვერ იმორჩილებთ და ამიტომ, ფართოდ ჩააბით სამხედრო ოპერაციებში სნგ-ს საოკუპაციო ჯარები, რომლებიც დღეს ხუნტის ჯარებთან ერთად დაბანაკებულნი არიან სოფელ რუხთან და ლამობენ აფხაზეთში შეჭრას, რათა იქ გააჩაღონ ახალი ეთნოკონფლიქტი. 23 მარტს, სამტრედიის სადგურზე ეშელონიდან გადმოტვირთეს თქვენი "გვარდიის" ჯავშანტრანსპორტიორები, რუსი ჯარისკაცებით სავსე, რომელნიც გაემართნენ ცხენისწყლის ხიდისკენ სადამსჯელო ოპერაციის ჩასატარებლად. სნგ-ს სამხედრო ვერტმფრენები თავს დასტრიალებენ წალენჯიხას და ცელავენ ყველას, ვინც საეჭვოდ მიაჩნიათ. მათ მიერ განადგურებულია შესანიშნავი კურორტი სქური. ასე, რომ თქვენ საქართველოში იწყებთ მეორე ავღანეთის ომს და ნუ გგონიათ, მსოფლიო ბრმა იყოს და ვერ ხედავდეს ამას.

"დემოკრატიული ინსტიტუტების" ჩამოყალიბების პარალელურად თქვენ საქართველოში მასობრივი ტერორი და 37 წლის დარი რეპრესიები გსურთ აღორძინოთ, გრძელდება დაპატიმრებები შეთითხნილი ბრალდებებით, რაც თქვენი ხელწერაა. ყალბი ბრალდებით არიან დაპატიმრებულნი უზენაესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ გელანტია, პუტჩისტების 6 ტყვიით მძიმედ დაჭრილი, მომაკვდავი კაცი, ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, უზენაესი საბჭოს სადეპუტატო ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ბიძინა დანგაძე, დიდხანს ტანჯეს ციხეში ქუთაისის დეპუტატი ფირუზ დიაკონიძე, ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი დეპუტატი ვახტანგ ჭითაია და სხვანი. ახლა შემოიღეთ მიტინგებზე სასიკვდილო ცემა და დანით დაჭრა უდანაშაულო ადამიანებისა, რასაც განსაკუთრებით ეფექტურად ნერგავთ უკანასკნელ ხანებში. თქვენი ხელქვეითი კრიმინალები განსაკუთრებით არაადამიანურად ექცევიან ქალებსა და მოხუცებს, მთელი ქალთა სქესი ლამის მტრად გამოაცხადოთ პირუთვნელობისა და შეუპოვრობისათვის.

თქვენ, "გარდაქმნისა" და "საჯაროობის" მედაფდაფემ საქართველოში მოსპეთ ყოველგვარი საჯაროობა, დააწესეთ უსასტიკესი ცენზურა პრესაში და ტელევიზიაში, აკრძალეთ ყველა თავისუფალი გამოცემა. ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთის, "იბერია-სპექტრის" რედაქტორს, პრინციპულ და მოუსყიდავ ჟურნალისტს, ირაკლი გოცირიძეს მოუკალით შვილი, შესანიშნავი მხატვარი გიორგი გოცირიძე და ახლა მეორე შვილზე ემუქრებით, ჟურნალისტური სინდისის ერთგულებისათვის. ა.წ. 30 მარტს, როდესაც მოსკოვის ტელევიზიით უნდა გადმოცემულიყო ჩემი ინტერვიუ, საერთოდ გააუქმეთ მოსკოვის პირველი არხი. ნუთუ ეს არის თქვენი დემოკრატია და საჯაროობა? რატომ არ უჩვენებთ ტელევიზიით ყოველივე იმას, რაც ხდებოდა და ხდება საქართველოში უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე? რატომ არ უჩვენებთ თბილისის დანგრევას და დაწვას თქვენი ზარბაზნებითა და რაკეტებით, მიტინგების დარბევას, უდანაშაულო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას თქვენი ბანდების მიერ, დასავლეთ საქართველოს აწიოკებას, ხალხის ძარცვა-გლეჯას? რატომ არ აძლევთ სიტყვას თქვენს ოპონენტებს, ან იქნებ ფიქრობთ, რომ ამ გზით ჩაახშობთ სიმართლის ხმას?

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

(გაგრძელება)

ახლა ვნახოთ რას წარმოადგენს საქართველოში თქვენი "მოღვაწეობა" სამართლებრივი თვალსაზრისით. თქვენი ჩამოსვლა საქართველოში, ხელისუფლების უზურპაციაა. თქვენს მიერ კომპარტიის ცკ-ს მსგავსი უკანონო ორგანოს, ე.წ. სახელმწიფო საბჭოს შექმნა და საკუთარი თავის დანიშვნა მის თავმჯდომარედ, არის უდიდესი უკანონობა და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევა, ვინაიდან ქვეყანას ჰყავს კანონიერი ხელისუფლება, ხალხის მიერ არჩეული, ხოლო თქვენ არავის აურჩევიხართ და არც დაუნიშნიხართ ამ თანამდებობაზე. თქვენ აცხადებთ, რომ საქართველოში უახლოეს ხანში ჩატარდება ვითომდაც თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი არჩევნები საქართველოში უკვე ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ჰყავს კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი, რომელთა გარეშეც არავის აქვს უფლება ახალი არჩევნების დანიშვნისა, ასე რომ თქვენი "არჩევნები" იქნება ყალბი და უკანონო, ხოლო ახალ, საარჩევნო კანონს, თქვენს მიერ შექმნილს, არ ექნება არავითარი იურიდიული უფლებამოსილება. ამგვარ "არჩევნებს" ხალხი ბოიკოტით შეხვდება, ვინაიდან მან ერთხელ უკვე გამოხატა თავისი ნება. გარდა ამისა, ისეთ პირობებში, როდესაც თითქმის მთელ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათია, არავითარ არჩევნებზე არ შეიძლება ფიქრიც კი, თუნდაც იგივე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით. ასე რომ, უზურპატორთა ხუნტის მიერ "არჩევნების" დანიშვნა საგანგებო მდგომარეობის პირობებში არცერთ მსოფლიო სტანდარტს არ შეესაბამება. თქვენმა ხუნტამ გამოაცხადა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რომლითაც იგი ვითომდაც ხელმძღვანელობს თავის პოლიტიკაში. თქვენ რომ გესმოდეთ, თუ რას ნიშნავს ამ კონსტიტუციის აღდგენა, იმ დღესვე გადადგებოდით და გამოაცხადებდით თვითლიკვიდაციას, ვინაიდან დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანას უნდა მართავდეს არჩევითი ხელისუფლება და არა უკანონო კრიმინალური ხუნტა.

ახლა ვნახოთ როგორ გესმით თქვენ რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობა. როგორც აღვნიშნე, თქვენ გაქვთ პრეტენზია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელს თქვენს ძალებს მუდამ ახმარდით საბჭოთა იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებას, ხოლო ამჟამად, როდესაც დაიმსხვრა ეს თიხისფეხებიანი კერპი, იბრძვით მომაკვდავი რუსეთის იმპერიის შესანარჩუნებლად, რომლის დაშლაც გარდაუვალია, როგორც ყველა იმპერიისა. თქვენ კი ყოველნაირად ცდილობთ, საქართველო კვლავ აქციოთ რუსეთის კოლონიად. რატომ არ სცნობს დღევანდელი რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას და არ ამყარებს მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას? იმის გამო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აღარ სურს იყოს რუსეთის კოლონია და სამხედრო პლაცდარმი. ამასთან რუსეთს მიაჩნია, რომ საქართველომ რუსეთის ფედერაციის ნაწილებად უნდა სცნოს შიდა ქართლი და აფხაზეთი. "თქვენ წახვალთ, ოღონდ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე" გვეუბნებოდა გორბაჩოვის მთავრობა. დღევანდელი რუსეთის პოზიციაც ბევრით არაფრით განსხვავდება წინამორბედთაგან.

თქვენ განაცხადეთ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დიპლომატიურზე უფრო მეტია. დიპლომატიურზე "მეტი" ურთიერთობა საერთაშორისო პრაქტიკამ და სამართალმა არ იცის. რა უნდა ვიგულისხმოთ ასეთ ურთიერთობაში, კოლონიური მონობა ხომ არა? მაგრამ გახსოვდეთ, რომ რუსეთის იმპერია განწირულია, ისევე როგორც თქვენი ცდები საქართველოში რუსოფილური ნეოკომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისა. საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ერთგული დარჩება თავის არჩევანისა (სხვათაშორის, წელს ეს თარიღი ოფიციალურად არც კი აღნიშნეთ). აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ცინიზმი და მკრეხელობაა თქვენის მხრით საქართველოს დამოუკიდებლობის სამფეროვანი დროშისა და მერაბ კოსტავას სურათის ფონზე ჯდომა. იმ დროშისა, რომლის ერთგულებისათვის მრავალი ადამიანი გაგიგზავნიათ ციხეში, იმ მერაბ კოსტავასი რომელიც, 10 წლის განმავლობაში აწამეთ გულაგის საპყრობილეებში და რომელსაც თქვენმა აგენტებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ახლა ვნახოთ, ვით ემთხვევა ურთიერთს თქვენი სიტყვა და საქმე საოკუპაციო ჯარებთან დაკავშირებით. თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა გაიმართოს მოლაპარაკება ჯარების გაყვანის თაობაზე და რომ საქართველო არასოდეს გახდება სნგ-ს წევრი. ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს, იმ დროს, როდესაც ამ თანამეგობრობის სხვა წევრები თავისი ტერიტორიებიდან აძევებენ საოკუპაციო ჯარებს, ან თავის იურისდიქციას უმორჩილებენ, თქვენ დღითი დღე უმატებთ მათ რაოდენობას საქართველოში, გაირკვა, რომ თქვენ ჩამოსვლის პირველსავე დღეებში დაგირეკიათ მოსკოვში და გითხოვიათ ამ ჯარების საქართველოში დატოვება, რაც თავისი დაუფიქრებლობით მოსკოვის ტელევიზიით გამოაცხადა თქვენმა მეგობარმა "დემოკრატმა" გ. პოპოვმა. თქვენი ხუნტის დასტურით შემოიყვანეს ყარაბაღიდან გამოძევებული 366 მოტომსროლელი პოლკი. ამჟამად, როგორც ჩანს, გენშერთან გარიგების საფუძველზე გეგმავთ გერმანიიდან დემობილიზებული რუსი სამხედროებისთვის ბინების მშენებლობას. ბუნებრივია რომ ის, ვისაც არ გააჩნია საკუთარი ხალხის მხარდაჭერა, დასაყრდენს ეძებს მტრის საოკუპაციო ჯარებში. ასე ყოფილა ოდითგან, ჩვენს ავბედით ისტორიაში, ასე იყო "საბჭოთა" პერიოდში, ასე იქნება მანამ, სანამ საქართველოში იქნება სნგ-ს, ანუ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი თქვენი ხუნტის სახით.

არ შემიძლია არ ვახსენო ჩვენი ახალგაზრდობის სავალალო მდგომარეობა საქართველოში შექმნილი ვითარების შედეგად. თქვენ და თქვენი წითელი "პროფესორები" დღენიადაგ ნერგავდით ახალგაზრდობაში კრიმინალების, ნარკომანების, "კანონიერი ქურდების" მგლურ ჰეროიკას, შეაძულეთ ახალგაზრდებს წიგნი და შეაყვარეთ ნარკოტიული ნივთიერებები, ავტომატი, ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა. ბოლოს, მრავალი მათგანი დანაშავე რეჟიმის მსახურ პატარა მონსტრებად აქციეთ, რომელნიც დღეს შეუბრალებლად არბევენ მშვიდობიან მიტინგებს, მხეცურად უსწორდებიან დიდსა და პატარას, ქალსა და ბავშვს, სიმართლის თქმისათვის. მაგრამ, გახსოვდეთ, სიმართლეს ვერავითარი ციხე, ვერავითარი ტყვია და კოცონი ვერ დაამარცხებს. საბედნიეროდ, კარგი ახალგაზრდობაც გვყავს, რომელნიც თქვენ პასუხს გაგებინებენ ყველაფრისათვის. "უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი, უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი", როგორც იტყოდა დიდი აკაკი.

ახლა საბოლოოდ უნდა დაგისვათ მთავარი შეკითხვა: ვინ მოგიხმოთ ჩვენ წინამძღვრად? ვინ მოგიწვიათ საქართველოში, სად არიან ის მშრომელები, ის ახალგაზრდები, რომელნიც თურმე მოსკოვში მოსვენებას არ გაძლევდნენ განცხადებებითა და პეტიციებით, არიქა ჩამოდით საქართველოში და გვიშველეთო? სად არის ეს დოკუმენტები? მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში მოგიწვიათ ერთადერთმა კაცმა, კრიმინალმა და რეციდივისტმა, ავადსახსენებელმა ჯაბა იოსელიანმა, რომელსაც საკუთარი ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი და რომლის სახელსაც შეაჩვენებს ქართველი ხალხი თქვენს სახელთან ერთად. დიახ, მისმა ემისარებმა ჩამოგიყვანეს თქვენ თბილისში და აეროპორტში დაგხვდათ მოღალატეთა და კრიმინალთა მცირე ჯგუფი. სამაგიეროდ, ქართველმა ხალხმა შეგარქვათ იუდა და ამ სახელის სკანდირება არ შეწყდება საქართველოში, სანამ თქვენ მის მიწა-წყალზე დაიბიჯებთ.

რატომ გეშინიათ სიმართლისა, რატომ არ პასუხობთ სტუდენტთა და ჟურნალისტთა შეკითხვებზე, რომლებიც გაზეთშიც კი გამოგიქვეყნეს? რატომ არ ღებულობთ ჟურნალისტებს? ან იქნებ გგონიათ, რომ დღეს შუა საუკუნეებია და თქვენი ბნელი საქმეები სამუდამოდ მიჩქმალული დარჩება? მერწმუნეთ, მალე შეიტყობს დასავლეთი თუ ვის შეუქმნა დემოკრატის იმიჯი და ვისი ხელით ცდილობს თავისი კავკასიური პოლიტიკის განხორციელებას. თქვენ კი აუცილებლად დამარცხდებით საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში, როგორც დამარცხდნენ ნაჯიბულა და ბაბრაქ ქარმალი. ასეთივე დამარცხება გელით კავკასიის ხალხების წინააღმდეგ ომში, რომელსაც გეგმავთ იმპერიულ ძალებთან ერთად.

ამრიგად, თქვენი "გადემოკრატება" მარტოოდენ ფასადის შეცვლა ყოფილა, არსით კი თქვენ იგივე დარჩით, რაც იყავით, ტოტალიტარიზმის, სახელმწიფო ტერორიზმის ერთგული, სულით კომუნისტი, რაც მტკიცდება საქართველოში თქვენი ამჟამინდელი საქმიანობით, სადაც აღორძინეთ პარტოკრატია და რეპრესიული, ტოტალიტარული რეჟიმი.

მახსენდება კანტის ცნობილი სენტენცია: "გადაფხიკეთ გერმანელი ფილოსოფოსი და თქვენ თეოლოგს აღმოაჩენთ მასში", რასაც მე ასე მივუსადაგებდი ჩვენს სინამდვილეს: "გადაფხიკეთ "პერესტროიკის" ნებისმიერი დემოკრატი და თქვენ კომუნისტ-პარტოკრატს აღმოაჩენთ მასში".

ვით ვირწმუნოთ თქვენი გარდაქმნა, როდესაც თქვენ, ნაცვლად იმისა რომ შეინანოთ ერის წინაშე თქვენი უმძიმესი დანაშაულები, კვლავ ცოდვას ცოდვაზე უმატებთ და ყოველივეს ძველებურად განაგრძობთ?

თქვენ იმპერიამ მოგავლინათ თავისი შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად, ეს იცის ყველამ საქართველოში და ამის გამო დაგიხვდათ მტრულად მთელი ერი. გახსოვდეთ, ქართველი ერი პოლიტბიურო არ არის, მარკებითა და დოლარებით რომ შეიძლებოდეს მისი მოსყიდვა.

ახლა დავუბრუნდეთ იმ ანონიმურ წერილს, რომელიც დასაწყისში ვახსენე. ახლა ვრწმუნდები, რომ ეს არავითარი რუსი და სომეხი "ნაცისტების" წერილი არ ყოფილა. ეს იყო იმპერიული სუკ-ისა და თქვენი წერილი, სადაც მოკლედ იყო ჩამოყალიბებული გეგმა საქართველოს განადგურებისა. ბევრი რამ შესრულდა ამ გეგმიდან, დაიწყო ქართველი ერის გენოციდი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, მაგრამ ამასთან ერთი იმპერია დაიშალა, ხოლო მეორე დაშლის პირად დგას. ასე რომ, თქვენს გეგმებს ასრულება არ უწერია. ქართველმა ერმა გამოიღვიძა და ამიერიდან მას ვერავინ მოახვევს თავს მონობის უღელს. იმპერია მოისპობა, ხოლო საქართველო იარსებებს სამარადჟამოდ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე თქვენ ბრალს გდებთ:

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სისტემატურ დევნასა და ჩახშობაში უსასტიკესი რეპრესიების გზით, მის დისკრედიტაციაში შინ და გარეთ. ქართველი პატრიოტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დევნა-დაპატიმრებაში, ქართველი პატრიოტის ვ.ქვანიას დახვრეტაში, "თვითმფრინავის საქმეზე" დაპატიმრებული ახალგაზრდებისა და მათთან ერთად ცრუ ბრალდებით დაპატიმრებული უდანაშაულო მღვდლის, თეოდორე ჩიხლაძის დახვრეტაში, ჟურნალისტ ნაზი შამანაურის მკვლელობაში 1983 წელს ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

2. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების მოწყობაში, უპრეცედენტო ცილისმწამებლური კამპანიის ორგანიზებაში მსოფლიო მასშტაბით.

3) დასავლეთის ქვეყნების დეზინფორმირებასა და დეზორიენტირებაში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

4) საქართველოში კრიმინალური რევოლუციის და სამხედრო გადატრიალების მოწყობაში, უკანონო, დანაშაულებრივი ხუნტის შექმნაში ხელისუფლების უზურპაციაში, ქ.თბილისის ცენტრის დანგრევასა და დაწვაში.

5) საქართველოში დემოკრატიის ნაცვლად კლეპტოკრატიის დამყარებაში, დამნაშავეთა სამყაროსადმი სამართალდამცავი ორგანოების დაქვემდებარებაში, კრიმინალებისთვის ხელისუფლების გადაცემაში.

6) საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრისა და 1991 წლის 26 მაისის დემოკრატიული არჩევნების მიღწევების განადგურებაში, კანონიერი პარლამენტისა და პრეზიდენტის დევნაში.

7) საქართველოში რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარების ყოფნის დაკანონებაში, მათთვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მოხსნაში, საქართველოში ამგვარი ჯარების ახალი კონტინგენტის შემოყვანაში ყარაბაღის 366 მოტომსროლელი პოლკის სახით, გერმანიიდან დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი სახლების მშენებლობის დაგეგმვაში ჩვენს ტერიტორიაზე.

8) საქართველოში კომუნისტური-პარტოკრატიისა და მაფიის კვლავ აღორძინებაში.

9) იმპერიული სუკ-ის აგენტობაში და მის თავდადებულ სამსახურში წლების მანძილზე.

10) იმპერიული სუკ-ის აგენტურულ ქსელში საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩათრევაში.

11) სახელმწიფო ტერორიზმში, 1992 წლის იანვარ-თებერვლის მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების დარბევა - დახვრეტაში კრიმინალების ხელით.

12) . დასავლეთ საქართველოს დალაშქვრა-დარბევაში, მოსახლეობის ძარცვასა და გენოციდში, კუთხური შუღლისა და სეპარატიზმის არნახულად გაღვივებაში.

13) საქართველოში ნარკომანიასა და ნარკობიზნესის ლეგალიზაციასა და წახალისებაში, თბილისის ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნარკომანებად, კრიმინალებად ქცევაში.

14) პიროვნულად ჩემი და ჩემი ოჯახის, თვით მცირეწლოვანი ბავშვების, დევნაში 20 წლის მანძილზე.

15) კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური სახლ-მუზეუმების გაძარცვასა და დაწვაში (ქ. თბილისი და დაბა ბიჭვინთა).

16) კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მასობრივ რეპრესირებასა და ტერორიზებაში.

17) გერმანიასთან საძრახის გარიგებაში საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

18) იმპერიის ცენტრის დავალებით ქართველი ერის გენოციდში.

19) სამშობლოს ღალატში.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, მოვითხოვ [illegible] ოვნებლივ წერილობით [illegible] ახსნა-განმარტებას. "გირჩევთ" ტელედებატებში (როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს და არა როგორც არარჩეული სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს), თქვენი საყვარელი მოსკოვის ტელევიზიით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებს თქვენს მიმართ სოლიდარობას, თანადგომას და მიკერძოებას. ტელედებატებს ექნება ტელეხიდის ხასიათი.

მზად ვარ უკან წავიღო ჩემი სიტყვები, თუ დამტკიცდება ჩემს ნათქვამში უმცირესი გაყალბება, უზუსტობა ან გადაჭარბება.

პოსტ სკრიპტუმი: თქვენდამი ღია წერილი უკვე დასრულებული მქონდა, როდესაც ხელში ჩამივარდა თქვენი ინტერვიუ "შპიგელისადმი", სადაც ირკვევა, რომ თქვენ ყველაფერთან ერთად უწიგნურიც ყოფილხართ. კერძოდ, თქვენ, გერმანიის საქმეების ესოდენ დიდმა "ექსპერტმა" "შპიგელის" კორესპონდენტის განსაცვიფრებლად განაცხადეთ, რომ თურმე ჰიტლერიც დემოკრატიულად ყოფილა არჩეული, ისევე როგორც გამსახურდია. მან ზრდილობიანად შეგნიშნათ, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ სხვა გვერდზე ბრჭყალებში ჩასვა ეს თქვენი დიდი "აღმოჩენა" და გაგამასხარავათ ("შპიგელი", 14 აპრილი, 1992 წ.). არ ვიცი, სკოლაში რა ნიშანი გქონდათ ისტორიაში, მაგრამ ასეთი რამ დღეს საშუალო სკოლის მოწაფესაც არ ეპატიება. ცნობილია, რომ ჰიტლერი დანიშნა გერმანიის რაიხსკანცლერად პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა, ისევე, როგორც ერთ დროს თქვენ დაგნიშნათ ბრეჟნევმა საქართველოს კომპარტიის "ცეკას" პირველ მდივნად, ამაშია თქვენი სულიერი ნათესაობა, ხოლო ჰიტლერის პარტიამ ისევე ვერ შეძლო რაიხსტაგში უმრავლესობის მოპოვება, როგორც თქვენმა პარტიამ საქართველოში, 1992 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში. ასე რომ, ანალოგიები უფრო სხვაგან უნდა ეძიოთ. საერთოდ, გირჩევთ ხშირად ჩაიხედოთ პოპულარულ სახელმძღვანელოებში და ენციკლოპედიებში, მსოფლიო მნიშვნელობის ინტერვიუს მიცემამდე.

1992 წელი 19 აპრილი

განცხადება

1992 წლის 15 ივნისს რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რ.ხასბულატოვმა გააკეთა განცხადება, რომელიც ჩვენს მიერ შეფასებულია, როგორც საქართველოს ღია ანექსიის დასაწყისი. ამ განცხადების ძირითადი დოქტრინა, ქართველთა მიერ ოსების გენოციდი, სათავეს იღებს სახელმწიფო საბჭოსა და ვ.რაზმაძის ცილისწამებებში.

იმავე დღეს ე.შევარდნაძის მიერ გაკეთებული საპასუხო განცხადება წარმოადგენს ქართველი ერის ინტერესთა სრული იგნორირებისა და უპასუხისმგებლობის ნიმუშს, რადგან:

ა. ე. შევარდნაძემ არ გამოხატა პროტესტი საქართველოს საშინაო საქმეებში ასეთი აშკარა ჩარევის გამო, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყოველივე მისი ხელშეწყობით ხდება.

ბ. ე. შევარდნაძემ კატასტროფული სიტუაციის შექმნა უკვე მერამდენედ გადააბრალა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასა და მის დამცველებს, რაც ცილისწამებას წარმოადგენს და სახელმწიფო საბჭოს გამცემლური პოლიტიკის შენიღბვას ემსახურება.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ორგანიზაციების სახელით უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ შემდეგი:

1. დღევანდელ სავალალო მდგომარეობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ "დემოკრატიული რევოლუციის" დამგეგმავებსა და განმახორციელებლებს, რადგან:

ა. მათ საქართველო ლეგიტიმური ხელისუფლების გარეშე დატოვეს.

ბ. აქტიური მოქმედების საშუალება მოუსპეს საპრეზიდენტო ინსტიტუტს, რაც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად ის ძირითადი სამართლებრივი გარანტიაა, რომელსაც მოვლენათა ასეთ განვითარებასთან საკანონმდებლო წესით დაპირისპირება შეუძლია.

2..ე. შევარდნაძის ბოლოდროინდელი საჯარო განცხადებებისა და მომხდარი შემაძრწუნებელი ფაქტების გამო, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ კატეგორიულად ვემიჯნებით ნებისმიერი სახის ტერორისტულ აქტს და ქმედებას. ვთვლით, რომ ისინი იმ ძალების საქმიანობის შედეგია, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლის ძირითად საშუალებად ტერორიზმს მიიჩნევენ და რომელთა დაქვემდებარებაში მყოფი უკონტროლო, შეიარაღებული ადამიანები აბსოლუტური დაუსჯელობის გარანტიით სარგებლობენ. ამის საპირისპიროდ, წინააღმდეგობის მოძრაობის ბრძოლის მეთოდები მხოლოდ მშვიდობიანია და იგი შეეფერება ქრისტიანი ერის ზოგად მსოფლაღქმას.

3. საბჭოთა ჯარისათვის საოკუპაციო სტატუსის მოხსნა, ტ.ყულუმბეგოვის განთავისუფლება, ე.წ. ოთხმხრივი მოლაპარაკება, რაც სახელმწიფო საბჭოს მიერ გარეშე ძალის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის სანქციად მიიჩნევა, კახეთის ვანდალური აქცია, გორის ტრაგედია, სამაჩაბლოში ინტერნაციონალ ავლანელთა დამსჯელი რაზმის შეყვანის მცდელობა ნათლად მიუთითებს, რომ სახელმწიფო საბჭო და "გადემოკრატებული" რუსეთი შეერთებული ძალებით ცდილობენ სამხედრო კონფლიქტის ესკალაციას და ამ გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ან ე.წ. ავტონომიური ოლქის აღდგენას, რაც შიდა ქართლში ქართული მოსახლეობის სრულ გაქრობას გამოიწვევს. სამწუხაროდ, საქართველოს არ გააჩნია ისეთი სამხედრო პოტენციალი, რომელიც ამ ომის სამხედრო გზით მოგების შესაძლებლობას იძლევა და სრულ ფიზიკურ განადგურებას უქადის ეროვნული გვარდიის ნაწილებს.

4. საქართველოში არასტაბილური შიდა პოლიტიკური ვითარებისა და კაპიტულანტური საგარეო პოლიტიკის ძირითად წყაროს წარმოადგენს თვით სახელმწიფო საბჭო და მის მიერ შექმნილი უკანონო სტრუქტურები, აგრეთვე ის დამსჯელი პოლიტიკა, რომელსაც ეს ორგანო აწარმოებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ეროვნული ინტერესების სრული იგნორირებით.

5. ასეთ კრიზისულ ვითარებაში საქართველოს მოსახლეობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სრულად დეზინფორმირებულია.

6. საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ავტონომიებსა და აგრეთვე სამაჩაბლოში დაპირისპირების ძირითად სამართლებრივ საფუძველს თბილისში ხელისუფლების უზურპირება წარმოადგენს.

7. ერთადერთ გარანტს საქართველოს, როგორც ისტორიული, ეთნოკულტურული და ეროვნულ-სულიერი ფენომენის გადარჩენისა, წარმოადგენს საპრეზიდენტო ინსტიტუტის დაუყოვნებელი აღდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალია.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები და საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ლიგა.

მზაკვრობა !!!

ზოგჯერ ისეთი წითელი ძაფითაა ნაკერი შავი ზრახვა, გიკვირს, რატომ თავიდანვე არ უკვირდება მცდელი კონტრასტულ ფერთა შეხამების შეუსაბამობას?!

ალბათ, უკვირდება კიდეც, მაგრამ საქმეს რომ სხვაგვარად აწყობს! მთავარია, ბადე გადააგდო - მსხვერპლის შიგ მოქცევა უკვე ტექნიკის საქმეა!

მსგავს ვითარებაში უთუოდ ასე ფიქრობს "საქმის აწყობი" - რაც უფრო დიდი იქნება ტყუილი, მით უფრო საეჭვოდ იქცევაო ხალხისათვის სიმართლე.

სწორედ მსგავსი ეფექტის შესაქმნელ და შორს გამიზნული მზაკვრული გეგმის ნაწილად მივიჩნიეთ 1992 წლის 25 მაისის სატელევიზიო "მაცნეში" გადაცემული ერთი მოკლე სიუჟეტი, რომელშიც დიქტორის განცხადებას - ახმეტაში დიდძალი იარაღი ამოიღესო - მოჰყვა ვინმე ზაზა ჯავახიშვილის (ყოფილი ავლანელის) გამოსვლა, რომელმაც განსაზღვრულ კონტექსტში მოიხსენია ჩემი გვარი...

ოღნავ შორიდან:

1992 წლის 5 მაისს მილიციის მუშაკებმა მოტყუებით გამიყვანა საკუთარი ბინიდან (გია გულუას თქვენთან გასაუბრება სურს და ორმოციოდე წუთში ჩემივე მანქანით დაგაბრუნებთო უკან) და სამმართველოში მისული, ყოველგვარი ბრალდებების გარეშე დამაკავეს, მომათავსეს საკანში.

მხოლოდ ორი დღის შემდეგ შევხვდი სამმართველოს უფროსს, გავიგე, რომ დაკავებული ვიყავი მიტინგებში მონაწილეობისათვის.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სადაც, ლამის, 30 წელიწადია ვმუშაობ) ჩემს მხარდასაჭერად (განთავისუფლების მოთხოვნა) შედგენილ განცხადებაზე ხელის მოწერისაგან ზოგიერთმა თანამშრომელმა თავი შეიკავა. ღმერთმა დაგვიფაროს, ეს გაგვკვირვებოდა, ან წყენის თუ გულდაწყვეტის ნატამალი მაინც აღგვძვროდა ამის გამო (მსგავსი უტაქტობისგან შორს ვდგევართ), მაგრამ როცა უარისმთქმელთა ნაწილს ყოვლად უნიადაგოდ, ყურმოკრულის (უსინდისო მონაჭორის!) საფუძველზე გამოუხატავთ წუხილი თუ ეჭვი - "დარწმუნებული არა ვარ, რომ ტერორისტულ ჯგუფებთან არ არისო დაკავშირებული", "ამბობენ, ვიღაც ტერორისტებთან ურთიერთობსო"... ხოლო ერთს პირდაპირ განუცხადებია - პროფესორ კიკაჩეიშვილს, თურმე, სტუდენტებისათვის იარაღი დაურიგებიაო, რაც მეორე კოლეგას გაჰკვირვებია - ეს კი ნამდვილად იწვევს ჩემს უაღრეს გულისტკივილს.

ნუთუ მართლაც ასეთ პიროვნებად მთვლიან ჩემი პატივცემული კოლეგები, ზოგიერთი აგერ უკვე 30 წელი რომ მიცნობს პირადად!

ვარწმუნებ ყველას, მე არ გამჩენია მათ მიმართ დიდი აღშფოთების გრძნობა, რადგან მჯერა, ეჭვმიუტანლად დარწმუნდებიან მსგავსი ზღაპრების უსაფუძვლობაში.

რაც ბუნებაში არ არსებობს - ვერ იხილავ!

მაინც ვიტყვი:

შექმნილი მძიმე საერთო ვითარების მიზეზით და იმის გამო, რომ მაკისრია "საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტის" მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობა, ერთგვარად შეგუებული ვიყავი და მომავალშიც მოველი ჩემი სახელის, მთავარი კომიტეტისა და მთლიანად მოძრაობის დისკრედიტაციის ცდებს.

სანამ 25 მაისის სატელევიზიო გადაცემას მივუბრუნდებოდე, ერთსაც გავუსვამდი ხაზს: რამდენიმე ხნის წინ სხვადასხვა წყაროებიდან მივიღე ცნობები, რომ შეეცდებოდნენ ჩემს, ასე ვთქვათ, "გასერას." კითხვაზე - რის გამო, რა მიზეზით, ვინ იზამს ამას? გამაგებინეს, რომ ე.წ. "ზვიადურები", რომ ვიღაც გაისვრის, მოაწყობს პროვოკაციას, დაღვრის სისხლს და შენს სახელს ფარად გამოიყენებენო (ამ გასროლებს თბილისში 23-24, ხოლო შემდეგ 26 მაისს ელოდნენ - იყო რაიმე მსგავსი?!)

ახლა 25 მაისის ტელეგადაცემის შესახებ:

როგორც ითქვა, დიქტორის განცხადებას (ვიმეორებთ) - ახმეტაში დიდძალი იარაღი იქნა ამოღებული - ამ ინფორმაციას თითქოს "ბუნებრივად" გადაება ზაზა ჯავახიშვილის განცხადება, ბატონ თენგიზ კიკაჩეიშვილს ახმეტაში მოუსმინე (იქ ნამდვილად ვიყავით ჩასული აპრილში მიტინგზე), კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე გვესაუბრებოდა, მაშინ დავეთანხმე, მაგრამ ახლა სხვაგვარად ვფიქრობ და ამიტომ, როცა ამ ბოლო დროს მემორანდუმი გამაცნო, აღარ შემეძლო დავთანხმებულიყავიო.

ზაზა ჯავახიშვილი მართლაც იყო ჩემთან, თუ არ ვცდები, ამ ორიოდე კვირის წინ (მაშინ პირველად ვიხილე იგი და გავიგე მისი ვინაობა), მითხრა, რომ ავლანელია, რომ ახმეტაში მომისმინა, რომ იცის ვინცა ვარ და ცოტა უხერხულადაც გრძნობს თავს იმის გამო, რომ გაკადნიერდა და ბინაზე მომაკითხა, მაგრამ ძალიან გვიჭირსო; სასტიკად გვექცევიან კახეთში, იარაღით გვემუქრებიან, შეურაცხყოფას გვაყენებენ, აბუჩად გვიგდებენ, რა ვქნათ, არ ვიცითო (შევამჩნიე და ვირწმუნე, რომ მართლაც უჭირდა სულიერად). როგორც მოძრაობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს, მოგაკითხეთ, რას გვირჩევთო...

ახლა არა აქვს მნიშვნელობა ზაზა ჯავახიშვილის განცხადებას - რამეში დამეთანხმა თუ არა (ეს, ალბათ, მას უკეთ ახსოვს). კი ბატონო! დავუშვათ, არ დამეთანხმა, არ მიიღო ჩემი შეხედულებები - არცა ეცდილვარ ძალით დამერწმუნებინა ვინმე, არც ის და არც სხვა ვინმე, არასოდეს; არც სახლში მომიწვევია იგი. მას მხოლოდ განცხადებაში გამოკვეთილი ჩვენი ბრძოლის პრინციპები განვუმარტე მოკლედ და ზოგადად - ეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ბრძოლის გზაა.

გნებავთ, ფიცად მიიჩნიეთ ჩემი განცხადება - არასოდეს, არავითარ შემთხვევაში, არანაირად არ ვყოფილვარ და არც ვიქნები ინსპირატორი იარაღით ბრძოლის საქმეში. ეს ჩემი უწმინდესი პრინციპია. უაღრესად ღრმად მაქვს შეცნობილი მთელი საზიზღრობა, სიმახინჯე ძმათამკვლელი ომისა.

ახლა ნათელი გახდა საიდან ყოფილა ჩემი "გასერა" შესაძლებელი - არა 23 თუ 24 მაისს "მოსალოდნელი" შეიარაღებული გამოხტომების შედეგად, არა 26 მაისის "დამაგვირგვინებელი პროვოკაციების" გამო (მსგავსი არაფერი მომხდარა!), არამედ იმ ხნულში გადაგდებული თესლიდან, რომელსაც ასეთი ნაყოფი უნდა მოესხა - ვინმე ყოფილი ავლანელი - საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე თენგიზ კიკაჩეიშვილი - მთავარი კომიტეტი - მთელი მოძრაობა.

აი, უნივერსიტეტში დარხეული ჭორის გამანოყიერებელი "ფაქტიც."

საბოლოოდ უნდა "ჩამოეხსნოდა ნიღაბი!"

ხომ ნათელია მიმართულება?

ხომ გასაგებია პათოსი?

ყველას გასაგონად ვაცხადებთ:

ჩვენ ბრძოლის ჩვენი გზა გვაქვს -მშვიდობიანი, მშვიდობიანი, მშვიდობიანი! თუმცა, პრინციპული.

ისიც უნდა ითქვას, ცხადია, რომ დაკისრებული მოვალეობის გამო ჩემთან შეხვედრის მსურნე ცალკეულ პირებს ხანდახან ისეთი მოსაზრებებიც გამოუთქვამთ, ბოლომდე რომ არ შეესაბამება ჩვენი მოძრაობის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში მთავარი ისაა, რა პასუხი, რჩევა მიუღიათ მათ ჩემგან.

მოძრაობის ბრძოლის მეთოდების სახალხოდ გამომზეურების გარეშე, როცა საზოგადოებისაგან დამალულია სწორი ინფორმაცია, როცა ხელოვნურად ამყოფებენ ერს გაურკვევლობაში, ცხადია, ადვილია როგორც მთელი მოძრაობის, ისე მისი თითოეული წევრის დისკრედიტაცია!

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ჩვენ კი მაინც დარწმუნებულნი ვართ, ვერ მოახერხებენ ისინი ქართველი ხალხის დაჯერებას იმაში, რომ საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტი სადმე ფეხს დაიცდენს და ამ წერილში უკვე მრავალგზის ხაზგასმული ბრძოლის მისეული პოზიციიდან გადაუხვევს.

დასკვნისათვის:

არა მარტო ზემოხსენებული განცხადება დარჩა გამოუქვეყნებელი - ისიც, რომელშიც მთავარი კომიტეტი ყველა წევრის ხელმოწერით გმობს ყოველგვარ ძალადობას საქართველოში.

თენგიზ კიკაჩეიშვილი
1992 წლის 26 მაისი.

მინაწერი.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო!

გარკვეული თვალსაზრისით, ალბათ, კარგიცაა ეს მცირე წერილი დღემდე გამოუქვეყნებელი რომ აღმოჩნდა, რადგან მასში ქვემოთმოყვანილი ფაქტების დამატებით უფრო ნათლად გამჟღავნდება ჩვენი დისკრედიტაციის მოსურნეთა ჭეშმარიტი ზრახვანი.

ა.წ 10 ივნისს შემხვდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, "სამართალდამცავი ორგანოების" მიერ დაკავებული და ამჟამად განთავისუფლებული ვანო ტურაშვილი, რომელმაც მაცნობა: - იზოლატორში ყოფნისას, აუტანელი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაწოლის შედეგად, დავწერე და ხელმოწერით დავადასტურე, რომ თითქოს თქვენ ხელმძღვანელობთ ტერორისტულ ბანდებს.

ბატონმა ვანო ტურაშვილმა ეს ამბავი ხუთი ადამიანის თანდასწრებით მომითხრო. იგი ფრიად დათრგუნული იყო უხეში ძალის გამოყენებით გამოწვეული თავისი იძულებითი საქციელის გამო.

- შემდეგ რაც მოვახერხე, პროკურორს სიტყვიერად განვუცხადე, რომ ძალდატანებით მათქმევინეს ეს სისულელეო.

ბატონმა ვანომ დასტური მომცა მომეხსენებინა მისი გვარი ამ ფაქტთან დაკავშირებით ...

ყველაფრიდან ჩანს, რომ მეტისმეტი მონდომებით ითითხნება "ახმეტის საქმე." : ახმეტაში ამოღებული იარაღი, ზაზა ჯავახიშვილის განცხადება, ახმეტის პრეფექტის "საიმედო ჩვენებანი", ახლა ბ-ნ ვანო ტურაშვილის "ჩვენება". ასეთი ინფორმაციების "ხელიდან გაშვება" პირდაპირ "პროფესიული კრახი" იქნება. საბჭოთა იმპერიამ დიდ "პროფესიონალთა" არსენალი დატოვა საქართველოში ამ "საქმეების" წარმატებით დასაგვირგვინებლად. ალბათ, ყოველთვის აღმოჩნდება ვიღაც, ვისაც აიძულებენ ცრუ ჩვენებას მოაწეროს ხელი (ზოგმა იქნებ ძალდატანების გარეშეც გააკეთოს უარესი).

დასკვნა ყველამ თავისით გააკეთოს. მე კი, სიმართლის გარდა სხვა რა ძალა მაქვს.

ქირურგების გაფიცვა

1 ივნისს სამტრედიის ქალაქის საავადმყოფოში გაიფიცა ქირურგიული განყოფილება. მიზეზი შემდეგია:

საავადმყოფოს ქირურგიული და სასწრაფო განყოფილება განიცდის გამუდმებულ თავდასხმებს "მხედრიონის" ნარკომანი წევრებისაგან. ექიმებს მათი მოგერიება უხდებათ თითქმის ყოველ ღამით, ბოლო შეხვედრები განსაკუთრებით მძაფრი აღმოჩნდა. საავადმყოფოში მიყვანილ ავადმყოფებს, ინვარქტიანებს, დაჭრილებს (მიწის განაწილებისას დაჭრეს კოლმეურნეობის თავ-რე შენგელია) ვერ უკეთებდნენ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს.

ექიმებს აღარ შეეძლოთ ავადმყოფების ტანჯვის ყურება და ბოლოს (31 მაისს) მოსულ "სტუმრებს" უარი განუცხადეს ნარკოტიკული საშუალებების მიცემაზე. რეაქცია ნარკომანებისაგან შემდეგი იყო:

იარაღის მუქარით აიძულეს თანამშრომლები ეხოხათ იატაკზე და საწოლების ქვეშ. აიძულეს აეკრიფათ იატაკზე დაყრილი ფულები (ფული თვითონ დაყარეს: "აჰათ, თქვე მათხოვრებოო!"), ბრტყვით დაუჭრეს ექიმ ხუნდაძეს ხალათი, ქირურგი კაკაბაძე ხელებდალურჯებულია ავტომატებით ცემისაგან.

საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ჯ.პაპავამ განუცხადა ქირურგებს, თვითონ დაიცავით თავი, მე არაფერი შემიძლიაო (ჯ.პაპავა "მხედრიონის" სული და გულია).

გამოძახებულმა მილიციამ განაცხადა (ორი საათის შემდეგ მოვიდნენ)-ჩვენ მათი დაჭერის უფლება არა გვაქვსო.

სამი დღეა ქირურგები გაფიცულები არიან, არ მუშაობენ და ყველა მათგანს დაწერილი აქვს განცხადება საავადმყოფოდან წასვლის თაობაზე.

ანალოგიურ დღეშია რკინიგზის საავადმყოფო. გააქტიურდნენ ადგილობრივი არამხედრიონელი ნარკომანებიც.

უცნობმა პირებმა ქუთაისთან გადარცვეს ქალაქის აფთიაქის მანქანა, რომელიც მიდიოდა მედიკამენტების ჩამოსატანად თბილისში. მას დახვდა სამი ავტომატიანი პიროვნება, რომლებმაც მძღოლს მელქაძეს წაართვეს ფული, სამგზავრო ბენზინი, მანამდე ბენზინი ავზიდანაც ამოიღეს, თვით მძღოლი ჩაკეტეს მანქანის ძარაში, მიატოვეს და დაიმალნენ. პროკურატურა "იძიებს" აღნიშნულ საქმეს.

საკუთარი ინფორმაცია

ინგლისმა სცნო საქართველო და არა...

საქართველოს ტახტის მემკვიდრე გიორგი ბაგრატიონი, საქართველოს წარმომადგენელთან, ბატონ შალვა ჩხოტუასთან ერთად ეწვია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტროს. მათ მოითხოვეს განმარტება, თუ რის საფუძველზე დაამყარა ინგლისის მთავრობამ ურთიერთობა საქართველოს არაკანონიერ, თვითმარქვია ხელისუფლებასთან, რაზედაც შემდეგი პასუხი მიიღეს: დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სცნო მხოლოდ საქართველოს სუვერენიტეტი და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო საბჭო.

საკუთარი ინფორმაცია

ხუნტის ინტერნაციონალური ვალი

საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა ფინეთში, ბატონმა რენო ხირაძემ შეგვატყობინა, რომ ხელთ აქვს იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ ამასწინანდელი შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა ჩეჩნეთში, ნაწილობრივ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერაა დაფინანსებული. ბუნებრივად იბადება კითხვა: რას ხმარდება ჩვენი სახელმწიფო გადასახადები?

რედაქტორი
თამარ ებრალიძე

გაზეთის კონსულტანტი
ვადიმ - კრისტიან ჭყონია

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
მერაბ კოსტავას ქუჩა№14
ტელეფონები:
ქალაქის-98-31-57
შიდა - 6-14

ინდექსი 66421

გაზეთი იბეჭდება
ოფსეტური წესით
ხოშარაულის ქუჩა №29

აწყობილია
კომპიუტერული წესით